



**განათლების ხარისხის განვითარების  
ეროვნული ცენტრის საქმიანობის ანგარიში  
2023**

**სსიპ -გ ანათლების ხარისხის  
განვითარების ეროვნული ცენტრი**

სარჩევი

შესავალი \_\_\_\_\_ 5

**თავი I. ინსტიტუციური განვითარება \_\_\_\_\_ 6**

საკორდინაციო საბჭო \_\_\_\_\_ 6

2024 წლის სამოქმედო გეგმა \_\_\_\_\_ 7

საქმისწარმოება \_\_\_\_\_ 7

ადამიანური რესურსების მართვა \_\_\_\_\_ 8

სტრატეგიული კომუნიკაციები \_\_\_\_\_ 9

ცენტრის ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია \_\_\_\_\_ 10

მატერიალურ-ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფა \_\_\_\_\_ 10

ინფორმაციული უსაფრთხოება; \_\_\_\_\_ 11

შრომის უსაფრთხოება \_\_\_\_\_ 11

პერსონალური მონაცემების დაცვა \_\_\_\_\_ 12

სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემა \_\_\_\_\_ 12

ფინანსური რესურსების მართვა \_\_\_\_\_ 13

შიდა კვლევები და ანალიტიკური დოკუმენტები \_\_\_\_\_ 15

ცენტრის სერვისების მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა \_\_\_\_\_ 15

თემატური ანალიზები \_\_\_\_\_ 17

პოლიტიკის ნარკვევები \_\_\_\_\_ 19

**თავი II. ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით განხორციელებული აქტივობები \_\_\_\_\_ 20**

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა \_\_\_\_\_ 20

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესების განვითარება \_\_\_\_\_ 20

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ადმინისტრაციული წარმოებები \_\_\_\_\_ 20

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდამჭერი ღონისძიებები \_\_\_\_\_ 22

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსი \_\_\_\_\_ 23

**პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფა \_\_\_\_\_ 23**

საგანმანათლებლო დაწესებულებებში ადმინისტრაციული წარმოებები \_\_\_\_\_ 23

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდამჭერი ღონისძიებები და მხარდამჭერი სახელმძღვანელოები \_\_\_\_\_ 24

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსი \_\_\_\_\_ 25

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოები \_\_\_\_\_ 26

არაფორმალური განათლება \_\_\_\_\_ 26

პროფესიული განათლების ხარისხის განვითარების მხარდამჭერა \_\_\_\_\_ 27

სხვა მნიშვნელოვანი საქმიანობა \_\_\_\_\_ 29

**ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა \_\_\_\_\_ 29**

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის რეფორმა \_\_\_\_\_ 29

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ადმინისტრაციული წარმოებები \_\_\_\_\_ 30

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო \_\_\_\_\_ 31

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსი	32
<b>ადრეული და სკოლამდელი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა</b>	<b>32</b>
ადრეული და სკოლამდელი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის რეფორმა	32
დაწესებულებების თვითშეფასების პროცესის უზრუნველყოფა და შედეგების ანალიზი	33
ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ჩართული მხარეების შესაძლებლობების გამლიერება	36
<b>თავი III. ეროვნული კვალიფიკაციების განვითარება</b>	<b>37</b>
სწავლის სფეროების კლასიფიკატორში ცვლილებები	37
ეროვნულ კვალიფიკაციებთან დაკავშირებული ცვლილებები	37
<b>თავი IV. სერვისების განვითარება</b>	<b>39</b>
საგანმანათლებლო სერვისების განვითარება	39
პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამა	41
<b>თავი V. ინტერნაციონალიზაცია</b>	<b>43</b>
ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებთან თანამშრომლობა და ვიზიტები	43
საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება	43
ბოლონიის პროცესის განხორციელების სამეთვალყურეო საბჭო - BFUG	49
გაფორმებული მემორანდუმები	50
საერთაშორისო პროექტები	52
ERASMUS + პროგრამები	54

## *სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი*

### **გამოყენებული აბრევიატურა:**

ACA - აკადემიური თანამშრომლობის ასოციაცია

AIC - ლატვიის აკადემიური საინფორმაციო ცენტრი

ANACEC - მოლდოვის განათლებისა და კვლევის ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული სააგენტო

BFUG - ბოლონიის პროცესის განხორციელების სამეთვალყურეო საბჭო

BICG - ბოლონიის პროცესის განხორციელების ჯგუფი

CAF - ერთიანი შეფასების ჩარჩო

CEENQA - ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ქსელი

DUGEOR - ერასმუს+ -ის მიერ დაფინანსებული პროექტი

DZS - ჩეხეთის საერთაშორისო განათლებისა და კვლევის ეროვნული სააგენტო

FIBAA - გერმანიის საერთაშორისო ბიზნეს ადმინისტრირების აკრედიტაციის ფონდი

GAIN - აკადემიური კეთილსინდისიერების გლობალური ქსელი

GEC - საერთაშორისო ბიზნეს საკონსულტაციო კომპანია

ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა

EFMD - ბელგიის საერთაშორისო სააკრედიტაციო საბჭო

EHEA - ევროპის უმაღლესი განათლების სივრცე

EKKA - ესტონეთის უმაღლესი და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო

ENAI - ევროპის აკადემიური კეთილსინდისიერების ქსელი

ENIC Centres - განათლების პროგრამაში ჩართული ევროპული ქსელის საინფორმაციო ცენტრები

ENQA - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაცია

EQAR - უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების დამოუკიდებელი სააგენტოების ევროპული რეესტრი

EQAVET - პროფესიული განათლების ევროპული ხარისხის ქსელი

EQPR - ლტოლვილთა ევროპული კვალიფიკაციების პასპორტი

ESG - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები

ESTDEV - ესტონეთის საერთაშორისო განვითარების ცენტრი

ESU - ევროპის სტუდენტთა ასოციაცია

ETF - ევროპის განათლების ფონდი

ETHICS - ერასმუს + - ის შესაძლებლობათა და ინსტიტუციური განვითარების პროგრამა

*სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი*

EUA - ევროპის უნივერსიტეტების ასოციაცია

EURASHE - ევროპის უმაღლესი განათლების ინსტიტუტების ასოციაცია

EVBB - პროფესიული მომზადების ინსტიტუტების ევროპული ასოციაცია

HAKA - ესტონეთის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო

IAAR - ყაზახეთის აკრედიტაციისა და რეიტინგის დამოუკიდებელი სააგენტო

IBM SPSS - სტატისტიკური მონაცემების კომპიუტერული პროგრამა

IMINQA - პერსონალის მობილობის პროგრამა

INQAAHE - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების საერთაშორისო ქსელი

LRC - ლისაბონის აღიარების კონვენცია

NARIC - ევროკავშირის ეროვნული აკადემიური აღიარების საინფორმაციო ცენტრების ქსელი

PDCA - დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება, განვითარება

PLA - პროფესიული გამოცდილების გაზიარება

PROFFORMANCE - ერასმუს + -ის მიერ დაფინანსებული პროგრამა

QMS - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ელექტრონული სისტემა

QUATRA - ერასმუს + -ის მიერ დაფინანსებული პროგრამა

QQI - ირლანდიის ხარისხისა და კვალიფიკაციების სააგენტო

SAYP - შვედური ინსტიტუტის (SI) ახალგაზრდა პროფესიონალთა აკადემია

SICI - ევროპის განათლების ეროვნული და რეგიონული ინსპექტორიატების ასოციაცია

SQUARE - ერასმუს + -ის მიერ დაფინანსებული პროგრამა

TAIEX - ევროკომისიის ტექნიკური მხარდაჭერისა და ინფორმაციის გაცვლის ინსტრუმენტი

TEQSA - ავსტრალიის უმაღლესი განათლების ხარისხისა და სტანდარტების სააგენტო

TPG A on QF - კვალიფიკაციების ჩარჩოს განვითარების თემატური საექსპერტო ჯგუფი

TPG B on RLC - ლისაბონის კონვენციის აღიარების თემატური საექსპერტო ჯგუფი

TPG on QA - ხარისხის უზრუნველყოფის თემატური საექსპერტო ჯგუფი

USAID HICD – USAID ადამიანური და ინსტიტუციური განვითარების პროგრამა

USAID LTA - USAID პროგრამა „ვისწავლოთ ერთად“

WFME - სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაცია

## შესავალი

წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილია სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) 2023 წლის საქმიანობის ანგარიში. დოკუმენტში მოცემული აქტივობები განხორციელდა ცენტრის 2021-2025 წლების სტრატეგიული ციკლის ფარგლებში და მოიცავს ადრეული და სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული, უმაღლესი განათლების ხარისხის გასავითარებლად განხორციელებულ საქმიანობებს, ეროვნული კვალიფიკაციების განვითარებას, საგანმანათლებლო სერვისების გაცემას, განათლების ინტერნაციონალიზაციისა და ცენტრის ინსტიტუციური განვითარებისთვის განხორციელებულ ღონისძიებებს.

დოკუმენტს აქვს ხუთი თავი. პირველ თავში წარმოდგენილია ანგარიში ცენტრის ინსტიტუციური განვითარების მიმართულებით განხორციელებული საქმიანობის შესახებ. მეორე თავი ეთმობა განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით შესრულებულ აქტივობებს. დოკუმენტის მესამე თავში წარმოდგენილია ეროვნული კვალიფიკაციების მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია. დოკუმენტის მეოთხე თავი ეთმობა საგანმანათლებლო სერვისების განვითარებას. დოკუმენტის მეხუთე, ბოლო თავში წარმოდგენილია განათლების ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით შესრულებული საქმიანობის ანგარიში.

## თავი I. ინსტიტუციური განვითარება

### საკოორდინაციო საბჭო

2023 წლის 25 აპრილს, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანებით განახლდა საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობა. ცენტრის დებულების შესაბამისად, საკოორდინაციო საბჭოს უფლებამოსილების ვადა განსაზღვრულია ორი წლით. განახლებულ საბჭოში წარმოდგენილი არიან სხვადასხვა უწყების წარმომადგენლები, საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები, უცხოელი ექსპერტები, განათლების მიმართულებით მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, სტუდენტი, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელი. აღსანიშნავია, რომ განახლებულ საკოორდინაციო საბჭოში არიან როგორც ახალი, ასევე 2021-2023 წლების საკოორდინაციო საბჭოს წევრები.

საკოორდინაციო საბჭომ, ცენტრის დებულების შესაბამისად 2023 წლის განმავლობაში განიხილა და შეითანხმა განათლების სისტემისთვის და ცენტრისთვის, როგორც ინსტიტუციისთვის მნიშვნელოვანი საკითხები. საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრები ონლაინ ფორმატის რეჟიმში ტარდებოდა, ჯამში ჩატარდა ოთხი შეხვედრა, აქედან 2 შეხვედრა ჩატარდა განახლებული საკოორდინაციო საბჭოს მიერ. საბჭოს წევრებმა განიხილეს და შეითანხმეს 21 საკითხი, კერძოდ:

- ✓ ბოლონის პროცესის კოორდინირების საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთვის გადაცემის საკითხი და შესაბამისად, ცენტრის დებულებაში ცვლილება;
- ✓ ცენტრის 2022 წლის წლიური ანგარიში;
- ✓ ცენტრის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;
- ✓ ცვლილებების პროექტი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებაში;
- ✓ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №99/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ პროექტი;
- ✓ ცვლილებები დაგეგმვის, კვლევის და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის დებულებაში;
- ✓ ENQA-ს წევრების ფორუმის შესახებ ინფორმაციის წარდგენა;
- ✓ ცვლილებები პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებაში;
- ✓ ცვლილებები ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებაში;
- ✓ ENQA-ს ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს წევრობისათვის თვითშეფასების ანგარიშის მომზადებული პროექტის გაცნობა;
- ✓ უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების საერთაშორისო ქსელში (INQAAHE) გაწევრიანების შესაძლებლობა;
- ✓ ცენტრის 2024 წლის სამტატო განრიგის პროექტში დაგეგმილი ცვლილებები;
- ✓ 2021-2025 წლების სტრატეგიის 2024 წლის სამოქმედო გეგმის პროექტი;
- ✓ 2024 წლის რიგითი საკოორდინაციო საბჭოს სხდომების ჩატარების სავარაუდო თარიღების შერჩევა;
- ✓ პროფესიული განათლების ორგანიზაციების ევროპულ ასოციაციაში (EVBB) გაწევრიანების საკითხი;
- ✓ თემატური ანალიზის შედეგების გაცნობა: „სამ წელიწადში ერთხელ ცენტრში წარმოსადგენი შუალედური თვითშეფასების ანგარიშების ეფექტურობისა და ეფექტიანობის შეფასების თემატური ანალიზის შედეგები და რეკომენდაციების გათვალისწინების სამომავლო ხედვა“ ;

- ✓ კანონში განსახორციელებელი ცვლილებები: „სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებით აკრედიტაციის დებულებაში განსახორციელებელი ცვლილებები“ ;
- ✓ ცენტრის 2024 წლის ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრების პროექტები;
- ✓ შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის დოკუმენტის პროექტი;
- ✓ ცვლილებების პროექტი: „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პროექტი;
- ✓ ცვლილებების პროექტი: "საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებაში დაგეგმილ ცვლილების შესახებ

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრის ოქმები და წევრების შესახებ ინფორმაცია საჯაროა და ცენტრის [ვებგვერდზეა ხელმისაწვდომი](#).

## 2024 წლის სამოქმედო გეგმა

ცენტრის 2021-2025 წლების სტრატეგიის 2024 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით, ცენტრმა მუშაობა 2023 წლის სექტემბრის თვეში დაიწყო. დაგეგმვის, კვლევის და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურმა კოორდინაცია გაუწია 2024 წლის სამოქმედო გეგმის პროექტის მომზადებას ცენტრის სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად. სამსახურების მიერ თითოეული სტრატეგიული მიზნისთვის შემუშავებულ იქნა აქტივობები, შესაბამისი ინდიკატორებით, მტკიცებულებებით, შესრულების ვადებით და რესურსებით. აღსანიშნავია, რომ 2024 წლის სამოქმედო გეგმაში რიგ აქტივობებს თან ახლავს მათი შემუშავების მიზეზები/დასაბუთებები. აღნიშნული გამომდინარეობს ცენტრის პოლიტიკიდან, რომელიც ეფუძნება მტკიცებულებებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილების მიღების მიდგომას.

დაგეგმვის პროცესში გარე დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, 2023 წლის ნოემბრის თვეში სამოქმედო გეგმის პროექტი წარედგინა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს. ჩატარებულ შეხვედრებს ონლაინ ფორმატში 350-მდე პირი დაესწრო, მათ შორის, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების წარმომადგენლები, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები, ბავშვის გაერთიანებები, რესურსცენტრების წარმომადგენლები, საბჭოების წევრები და ცენტრის ექსპერტთა კორპუსის წევრები. საბოლოო პროექტი ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს შესათანხმებლად წარედგინა და საბჭოს წევრებმა მხარი დაუჭირეს სამოქმედო გეგმის პროექტს. 22 დეკემბერს ცენტრის 2023 წლის სამოქმედო გეგმა დამტკიცდა დირექტორის შესაბამისი ბრძანებით და განთავსდა ცენტრის [ვებგვერდზე](#).

## საქმისწარმოება

2023 წელს, საქმისწარმოების მიმართულებით, განახლდა ცენტრში ვიზიტის დაჯავშნის ელექტრონული სისტემა, რომელიც განთავსებულია ცენტრის ვებ-გვერდზე <https://booking.eqe.ge/>. ცენტრის მომხმარებელთა კმაყოფილების გაზრდის მიზნით, სამსახურის თანამშრომლებისთვის



(საქმისწარმოების მიმართულება) ჩატარდა ტრენინგი ეფექტური მომსახურების (სერვის +) მიმართულებით.

ამასთან, კანონმდებლობის წესების დაცვით, დამტკიცდა ცენტრის 2006-2020 წლების მუდმივად და ხანგრძლივად შესანახი საქმეების №1 და №2 დამატებითი ანაწერები და ასევე დამტკიცდა ცენტრის 2024 წლის საქმეთა ნაერთი ნომენკლატურა.

### ადამიანური რესურსების მართვა

ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით, ცენტრის თანამშრომელთა საქმიანობის განმავითარებელი შეფასების განხორციელების მიზნით, საპილოტე რეჟიმში ამოქმედდა შეფასების სისტემა, რომლის ფარგლებშიც თანამშრომელთა შეფასება განხორციელდა შესრულებული ფუნქციებისა და კომპეტენციების შეფასების მეთოდით. შეფასების კრიტერიუმი იყო შესრულების ხარისხი, შესრულების დროულობა და სამუშაოს ოდენობა. შესაფასებელი ფუნქციების რაოდენობა არ აღემატებოდა 7 - ს და არ იყო 3 - ზე ნაკლები. ცენტრის თანამშრომლები შეფასდნენ 3 საბაზისო (საკვანძო) კომპეტენციით - შედეგზე ორიენტაცია; ანალიტიკური აზროვნება; სიზუსტესა და დეტალებზე ორიენტაცია, ხოლო, მენეჯერული პოზიციების თანამშრომლები საბაზისო კომპეტენციებთან ერთად დამატებით შეფასდნენ ერთი მმართველობითი კომპეტენციით - გუნდის განვითარება.

შეფასების სისტემის ეფექტიანად მიმდინარეობის მიზნით, ცენტრის ხელმძღვანელი პოზიციების თანამშრომლებისთვის ჩატარდა კალიბრაციის (სტანდარტიზაციის) შეხვედრა, რომელიც ითვალისწინებდა თანამშრომელთა შეფასების დროს ერთიანი სტანდარტების ჩამოყალიბებას და არაერთგვაროვანი მიდგომების რისკების შემცირებას. მომზადდა შეფასების სისტემაში მუშაობის ინსტრუქცია (გზამკვლევი).

თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევის შედეგების გათვალისწინებით, იდენტიფიცირებული გამოწვევების შესაბამისად, თანამშრომელთა პროფესიული განვითარების მხარდაჭერის მიზნით, კომუნიკაციისა და კოორდინაციის მიმართულებით ჩატარდა ტრენინგი მენეჯერული პოზიციის თანამშრომლებისთვის.

ცენტრი ჩაერთო საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიის დანერგვის პროცესში და მოამზადა შიდა სიტუაციის ანალიზის დოკუმენტი. აღნიშნული აქტივობა განხორციელდა ევროკავშირის პროექტის „საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ ჩართულობითა და მხარდაჭერით. დოკუმენტში წარმოდგენილია 2020-2022 წლებში ცენტრში ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით შიდა და გარე ფაქტორების ანალიზი, რომელშიც იდენტიფიცირდა ამ მიმართულებით ძირითადი მიგნებები და გამოწვევები, კერძოდ: პროფესიული განვითარების სისტემის შექმნა; შეფასების შედეგების მართვა; გუნდურობაზე ორიენტირებული კორპორატიული გარემოს შექმნა; HR გაციფრულება. დოკუმენტი მომზადდა სტატისტიკური და რაოდენობრივი მაჩვენებლების გათვალისწინებით, თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევის შედეგებზე დაყრდნობით.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 30 კონკურსი ცენტრის ვაკანტურ პოზიციებზე, მათ შორის ცენტრის 7 თანამშრომელის, ავტორიზაციის/აკრედიტაციის ექსპერტთა 11, ხოლო სტაჟიორთა შესარჩევად 12.

## სტრატეგიული კომუნიკაციები

საანგარიშო პერიოდში ცენტრმა გამართა შეხვედრების ციკლი ადრეული და სკოლამდელი განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის პროცესით დაინტერესებულ და საჯარო სკოლების ავტორიზაციის პროცესით დაინტერესებულ პირებთან. კერძოდ, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით, ცენტრის მენეჯმენტმა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეული წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სკოლის ადმინისტრატორთა ასოციაციის ორგანიზებით გამართულ სამუშაო შეხვედრაში. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების დირექტორებს გააცნეს ავტორიზაციის სტანდარტებსა და პროცედურებში განხორციელებული ცვლილებები და უპასუხეს მათ მიერ დასმულ შეკითხვებს. ცენტრის წარმომადგენლები ავტორიზაციის პროცესში მყოფი 300-ზე მეტი საჯარო სკოლის ხელმძღვანელებს შეხვდნენ და ავტორიზაციის პროცესის მიმდინარეობის თაობაზე მათი უკუკავშირი მოისმინეს.

ადრეული და სკოლამდელი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით, ონლაინ რეჟიმში გაიმართა შეხვედრა იმ მუნიციპალიტეტებისა და საბავშვო ბაღების გაერთიანებების წარმომადგენლებთან, რომლებიც პირველ ეტაპზე ჩართულები იყვნენ თვითშეფასების განხორციელებაში. გარდა ამისა, გაიმართა სამუშაო შეხვედრა საგანმანათლებლო რესურსცენტრების ხელმძღვანელებთან რომლის მიზანი იყო საჯარო სკოლების ავტორიზაციის პროცესში რესურსცენტრების ჩართულობის უზრუნველყოფა და ამ მიზნით მათი შესაძლებლობების გაძლიერების ღონისძიებების დაგეგმვა.

ცენტრის ორგანიზებით გაიმართა შეხვედრების ციკლი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებთან, რომლის მიზანი იყო სტუდენტებისათვის, ცენტრის საქმიანობის, მიღწევების, მიმდინარე და სამომავლო პროექტების გაცნობა, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე. შეხვედრაზე გაიმართა პრეზენტაცია ცენტრის საქმიანობის შესახებ, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების თაობაზე, სტუდენტების უფლებებსა და მათი ჩართულობის ფორმებზე განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში, განათლების სფეროს ინტერნაციონალიზაციასა და საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელების შესაძლებლობებზე.

ცენტრმა გამოსცა რიგით მესამე ელექტრონული ჟურნალი - [„განათლების ხარისხის დაიჯესტი“](#), რომელიც ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსდა და ასევე, გამოცემის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა ცენტრის სოციალურ ქსელში. ჟურნალში წარმოდგენილია განათლების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებთან დაკავშირებული სტატიები, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე არსებული საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები, კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მოკლე ანალიზი და ყველა დაინტერესებული მხარისთვის საინტერესო სხვადასხვა ინფორმაცია.

შემუშავდა 2023 წლის მედიასთან ურთიერთობის გეგმა, რომელშიც გაიწერა ცენტრის მიერ განსახორციელებელი ყველა მნიშვნელოვანი ღონისძიება. საანგარიშო პერიოდში ცენტრი აქტიურად თანამშრომლობდა მედიის სხვადასხვა საშუალებებთან, ცენტრის დირექტორი, მოადგილეები და შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლები მიწვეულნი იყვნენ თემატურ გადაცემებში. ამასთან, გავრცელდა ცენტრის თანამშრომლების მიერ მომზადებული სტატიები და ნიუსები ცენტრის საქმიანობის, მიღწევებისა და სამომავლო გეგმების შესახებ სხვადასხვა საინფორმაციო საიტებსა და ელექტრონულ ჟურნალებში. 2023 წლის განმავლობაში მუდმივად ახლდებოდა ცენტრის ვებგვერდზე არსებული ინფორმაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე.

## სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

ცენტრის ორგანიზებით გაიმართა “თიმბილდინგი“, რომელში მონაწილეობა მიიღო ცენტრის 150 - მდე თანამშრომელმა. ღონისძიება შედგებოდა მრავალფეროვანი აქტივობებისგან, რომლის მიზანი იყო გუნდის განვითარება, შეკვრა და კეთილგანწყობა; თანამშრომლებს შორის პოზიტიური განწყობის ჩამოყალიბება; გუნდური მუშაობის უნარების განვითარება და საერთო გუნდური სულისკვეთების განვითარება; გუნდში კომუნიკაციის ხარისხის გაუმჯობესება.

### ცენტრის ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია

2023 წლის 27 თებერვლიდან 1 მარტის ჩათვლით განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია გამართა, რომელზეც განხილულ იქნა ცენტრის 2022 წლის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, უმაღლესი, პროფესიული, ზოგადი და ადრეული და სკოლამდელი აღზრდის განათლების მნიშვნელოვანი საკითხები - მიღწევები და გამოწვევები განათლების ხარისხის უზრუნველყოფის კონტექსტში. კონფერენციაზე ყურადღება გამახვილდა განათლების ყველა საფეხურზე ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელობაზე. აღინიშნა განათლების ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯები. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA), ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის რეესტრის (EQAR), სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME), ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის (EUA), ევროპის სტუდენტთა ასოციაციის (ESU) წარმომადგენლებმა და საერთაშორისო ექსპერტებმა, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, ადგილობრივი თვითმმართველობის, სკოლების, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, ადრეული და სკოლამდელი განათლების დაწესებულებების, ასევე პარტნიორი ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს წევრებმა, აკრედიტაციის, ავტორიზაციისა და სააპელაციო საბჭოების წევრებმა და ექსპერტებმა, სტუდენტებმა, დამსაქმებლებმა და სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა.

### მატერიალურ-ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფა

2023 წელს, ცენტრის შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მიმართულებით განხორციელდა არაერთი მხარდამჭერი აქტივობა. ფიზიკური უსაფრთხოების რისკების დაზღვევის მიზნით:

- ✓ ცენტრის შენობა სრულად აღიჭურვა სახანძრო უსაფრთხოების თანამედროვე მოწყობილობებით და აპარატურით; დამონტაჟდა სახანძრო სიგნალიზაციის, ავარიული განათების და გახმოვანების თანამედროვე სისტემები;
- ✓ შემუშავდა და დამტკიცდა ცენტრის აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესი;
- ✓ ცენტრის მიერ გაწეული მომსახურებების გაუმჯობესების მიზნით, შეიქმნა და ტექნიკურად აღიჭურვა იურიდიული პირების მომსახურების დამოუკიდებელი სივრცე;
- ✓ ცენტრის მიერ გაწეული მომსახურებების გაუმჯობესების მიზნით, დამონტაჟდა და ამოქმედდა მოქალაქეთა რიგის მართვის თანამედროვე სისტემა;
- ✓ განხორციელდა, ცენტრის არსებული ავტოპარკის განახლება ხუთი ერთეული ჰიბრიდული ტიპის ავტოსატრანსპორტო საშუალებით.

✓ განხორციელდა ცენტრის არსებული კომპიუტერული სისტემების ნაწილობრივი განახლება, შეძენილი და დამონტაჟებული იქნა ორმოცამდე ახალი კომპიუტერი.

ცენტრის 2023 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის ფარგლებში, გაფორმდა 150 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება, რომელთა ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 1 125 941.82 (ერთი მილიონ ას ოცდახუთი ათას ცხრაას ორმოცდაერთი ლარი და 82 თეთრი) ლარი.

2023 წელს სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოში სულ შესული იქნა 1 საჩივარი, რომელიც დაკმაყოფილდა ცენტრის სასარგებლოდ.

### **ინფორმაციული უსაფრთხოება**

ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის დანერგვის მიზნით, 2023 წელს ცენტრმა წინასწარ შემუშავებული სამოქმედო გეგმის მიხედვით, აღიწერა არსებული აქტივები, დამტკიცდა რისკების მართვის მეთოდოლოგია, რომლის შესაბამისად მიმდინარეობს რისკების იდენტიფიცირება/შეფასება, შესაბამისი კონტროლების დანერგვა/იდენტიფიცირება. ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის დანერგვის სამოქმედო გეგმის ფარგლებში შემუშავდა რისკების მართვის გეგმა.

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა მაღალი პრიორიტეტული რისკების იდენტიფიცირება და მათი რისკების შეფასების შეჯამება. გარდა აღნიშნულისა, ცენტრის თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგები ინფორმაციული უსაფრთხოების ცნობიერების ამაღლების მიზნით.

ინფორმაციული უსაფრთხოების თვალსაზრისის მიმოხილულ იქნა უსაფრთხოების ინციდენტების, დარღვევების, ან დაუცველობის საკითხები, ინციდენტებზე რეაგირება და მიღებული შედეგების ანალიზი. პერიოდულად, კიბერუსაფრთხოების გუნდთან ერთად ხორციელდებოდა ანალიზი IT ინფრასტრუქტურის და ინფორმაციული უსაფრთხოების წინაშე მდგარი გამოწვევებისა და მოწყვლადობის შესახებ, ტექნოლოგიის გაუმჯობესების შეჯამება და მათი გავლენა უსაფრთხოებაზე ასევე მისი სამომავლო განვითარება.

წლის მანძილზე განხორციელდა ინფორმაციული უსაფრთხოების საერთო მდგომარეობის შეჯამება. გამოწვევებისა და გაუმჯობესების ვალდებულებების აღიარება. პერიოდულად საჭიროებიდან გამომდინარე ხდებოდა ინფორმაციული უსაფრთხოების საბჭოს ჩატარება.

### **შრომის უსაფრთხოება**

შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, შემუშავებულ იქნა შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის დოკუმენტის პროექტი, რომლის თანახმადაც შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის ძირითადი მიზანია სამუშაო ადგილზე დასაქმებულთა და მესამე პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის ხელშესაწყობად უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნა, შრომის უსაფრთხოების ძირითადი მოთხოვნებისა და პრევენციული ღონისძიებების ზოგადი პრინციპების განსაზღვრა, რომლებიც უკავშირდება სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოების საკითხებს, არსებულ და მოსალოდნელ საფრთხეებს, დასაქმებულთა სწავლებას, მათთვის ინფორმაციის მიწოდებასა და კონსულტაციის გაწევას და შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებში დასაქმებულთა თანაბარ მონაწილეობას, სამართლებრივი ვალდებულებების შესრულებას. აღსანიშნავია, რომ შრომის უსაფრთხოების მიმართულებით ქვეყანაში არსებული კანონმდებლობა წარმოადგენს სავალდებულო ნორმებს, შესაბამისად ცენტრი იღებს ვალდებულებას დააწესოს მკაცრი კონტროლი შრომის

უსაფრთხოების საკანონმდებლო მოთხოვნების ზუსტ და ჯეროვან შესრულებაზე, უბედურ შემთხვევებთან და პროფესიულ დაავადებებთან დაკავშირებული ხარჯების შემსუბუქებასა და პრევენციაზე. შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების შემუშავების მიზანია დადგინდეს და განისაზღვროს შრომის უსაფრთხოების წესები და ინსტრუქციები, სამუშაოთა შესრულების უსაფრთხო მეთოდის და მის შესასრულებლად საჭირო სწავლებების მინიმალური სტანდარტის განსაზღვრად, რომელიც ტრენინგების სახით უნდა მიეწოდოს ცენტრის ყველა თანამშრომელს. აღნიშნული დოკუმენტი შეთანხმდა ცენტრის საკოორდინაციო საბჭოზე. აღნიშნული დოკუმენტის დამტკიცება მოხდება ცენტრის დირექტორის მიერ.

### პერსონალური მონაცემების დაცვა

პერსონალურ მონაცემთა დაცვის და საჯარო ინფორმაციის გაცემის მიმართულებით ჩატარდა სხვადასხვა ტრენინგი, რომელიც ემსახურებოდა თანამშრომელთა გადამზადებას აღნიშნული მიმართულებით.

2023 წელს, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში გაიგზავნა ცენტრის მიერ მომზადებული სახელმძღვანელო, პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ. დოკუმენტის თანახმად, განისაზღვრა "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს ახალი კანონის მიღებასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარების აუცილებლობა სამინისტროს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ. დღის წესრიგში დადგა ისეთი მარეგულირებელი აქტების შემუშავების აუცილებლობა, რომელიც თავდაპირველი გეგმით არ იყო გათვალისწინებული. შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში შემუშავდა მარეგულირებელი აქტების პროექტები (ვიდეო მონიტორინგის და აუდიომონიტორინგის შესახებ). გარდა ამისა, შემუშავდა სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტები, რომლებიც ასევე პროექტის სახითაა წარდგენილი ცენტრის დირექტორთან. (საქმისწარმოების, ადამიანური რესურსების და ცხელი ხაზის ოპერატორების საქმიანობის თაობაზე).

### სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემა

სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ საქართველოს კანონისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, 2022 წლის დეკემბერში ორგანიზაციის წინაშე არსებული ამოცანებისა და მიზნების გათვალისწინებით, შეფასდა ორგანიზაციის/ მიმდინარე პროცესების ძირითადი რისკები, შედეგად დაამტკიცა შიდა აუდიტის 2021-2023 წლის სტრატეგიული გეგმის ცვლილება და 2023 წლის წლიური გეგმა. 2023 წელს დაგეგმილი იყო 3 აუდიტორული შემოწმების ჩატარება (2 სისტემური და 1 შესაბამისობის აუდიტი). "პირველი და მეორე კატეგორიების კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტებისთვის ინფორმაციული უსაფრთხოების მინიმალური მოთხოვნების დადგენის შესახებ" ბრძანებაში შეტანილი ცვლილების საფუძველზე, შიდა აუდიტის 2023 წლის წლიურ გეგმაში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმად ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის შესაბამისობის აუდიტი ჩანაცვლდა სტრატეგიული დაგეგმვა და შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარების პროცესის სისტემური აუდიტით. ამასთან, ვინაიდან, 2022 წლის ეფექტიანობის აუდიტორული შემოწმების განხორციელების პერიოდი გადმოვიდა მომდევნო საანგარიშო წელს, 2023 წელს დასრულდა ასევე, 2022 წლის N4 აუდიტორული შემოწმების ანგარიში.

2023 წელს დასრულდა ორი აუდიტორული შემოწმება, ხოლო N3 აუდიტორული შემოწმება განხორციელება დაიწყო. გარდა აუდიტორული შემოწმებებისა, კონტროლების ეფექტურად

დანერგვის მიზნით, ხორციელდებოდა ჩატარებული აუდიტორული შემოწმებების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი, კერძოდ, ჩატარდა აუდიტორული შემოწმებების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი, რომლის შედეგები ეცნობა ცენტრის დირექტორს, აუდიტის ობიექტებს.

შიდა აუდიტი მუდმივად ახორციელებს როგორც საკუთარი, ასევე სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების პროგრესის ანალიზს.

შიდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის მიზნით, სამინისტროსთან თანამშრომლობით განხორციელდა ცენტრის შიდა აუდიტის სამსახურის ხარისხის შეფასების სისტემის პილოტი, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა შიდა აუდიტის სამსახურის თვითშეფასება, აუდიტის ობიექტის მხრიდან სამსახურის შეფასება, ასევე გაწეული საკონსულტაციო მომსახურების ხარისხის შეფასება. შედეგად 2023 წელს შევიდა ცვლილება შიდა აუდიტის სამსახურის დებულებაში. შემუშავებულია „შიდა აუდიტის სამსახურის პოლიტიკა“. შემუშავდა ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარების პროგრამა და შესაბამისი ფორმები, შიდა აუდიტის საქმიანობის დოკუმენტირებისა და საქმისწარმოების წესი და საკონსულტაციო მარწმუნებელი საქმიანობის განმსაზღვრელი დოკუმენტი. გარდა აღნიშნულისა, შეფასდა ორგანიზაციაში არსებული რისკები და შემუშავდა შიდა აუდიტის 2024-2026 წლების სტრატეგიული და 2024 წლის წლიური გეგმა, რომელშიც ასევე გათვალისწინებულია სამინისტროს რეკომენდაციები, სამინისტროს გარე შეფასების შედეგები.

2023 წელს შიდა აუდიტმა განახორციელა სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის შიდა აუდიტორული საქმიანობის გარე შეფასება.

### ფინანსური რესურსების მართვა

2023 წელს, ფინანსური უზრუნველყოფის მიმართულებით განხორციელდა არაერთი მხარდამჭერი აქტივობა. კერძოდ, მომზადდა და სამინისტროსთან შეთანხმდა 2024-2027 წლების საბიუჯეტო განაცხადის პროექტის ფორმები, შესაბამისი ინფორმაციით; მომზადდა და საკოორდინაციო საბჭოს წარედგინა ცენტრის 2024 წლის საშტატო ნუსხისა და ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრების შესახებ ინფორმაცია.


2023 წლის განმავლობაში სამინისტროს წარედგინა სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 3, 6, 9 თვის და 2022 წლის ანგარიშები; 2022 წლის ფინანსური ანგარიშგება დანართებით (ბალანსი). ყოველი კვარტლის ბოლოს ხორციელდებოდა ბიუჯეტის შესრულების კვარტალური გეგმის მონიტორინგი. საჭიროებების შესაბამისად შედიოდა ცვლილებები, სამსახურმა უზრუნველყო 2023 წლის კორექტირებული ბიუჯეტის მთავრობასთან შეთანხმება.

სამოქმედო გეგმის შესაბამისად შემუშავდა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2024 წლის საბიუჯეტო განაცხადის პროექტი, საბიუჯეტო განაცხადის ფორმების შესაბამისად. შემუშავდა კონცეფცია, რომელშიც აღწერილია გადახდის ახალი შესაძლებლობები და წარმოდგენილია დანერგვის გზები.

2023 წლის განმავლობაში ადმინისტრირება გაეწია სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სახსრების- 4,866,647.00 ლარს და ცენტრის საკუთარი შემოსავლის წყაროდან განსაზღვრულ 9,467,697.00 ლარის ხარჯს, რითაც უზრუნველყო უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის,

სერვისების განვითარების სამსახურების მიერ წარმოებების ფარგლებში განსახორციელებელი და ცენტრის გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო სამუშაოები.

2021-2023 წლებში, ცენტრის ფინანსურ შემოსავლებში საკუთარი სახსრების წილი ზრდადი ტენდენციით ხასიათდება, რომლის მაჩვენებელმა 2023 წელს 68.5% შეადგინა, რაც ასახულია ქვემოთ წარმოდგენილ გრაფიკზე და ხაზს უსვამს ცენტრის ფინანსურ დამოუკიდებლობას. ამასთან აღსანიშნავია, რომ ცენტრის ფინანსური შემოსავლები დივერსიფიცირებულია და შედგება სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებისგან, საკუთარი სახსრებისგან და მიზნობრივი გრანტისგან.



გრაფიკი 1: ფინანსური მაჩვენებლების ტენდენცია 2021-2023 წლებში

### შიდა ხარისხის სისტემის განვითარება

2023 წელს, დემინგის PDCA (Plan-Do-Check-Act) ხარისხის მართვის ძირითად მოდელზე დაყრდნობით, ცენტრმა გააგრძელა შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება, ცენტრში მიმდინარე პროცესების იდენტიფიცირება, აღწერა, ანალიზი და ცვლილებების განხორციელება გაუმჯობესებისთვის.

ცენტრმა 2023 წელს USAID HICD (USAID Georgia Human and Institutional Capacity Development Activity - HICD) მხარდაჭერით ითანამშრომლა GEC საკონსულტაციო კომპანიასთან ცენტრის ბიზნეს პროცესების ოპტიმიზაციისა და განვითარების საკითხებზე. საკონსულტაციო კომპანია GEC-ის დახმარებით მოხდა იდენტიფიცირებული ბიზნეს პროცესების რეესტრის გადახედვა და ოპტიმიზაცია, შეიქმნა საოპერაციო სახელმძღვანელო - ბიზნეს პროცესების მართვა, შემუშავდა ცოდნის მართვისა და გაზიარების სისტემის ტექნიკური მოთხოვნების დოკუმენტი, ბიზნეს პროცესების ნაწილი შემუშავდა Visio-ფორმატით, რაც ამარტივებს პროცესების აღქმას და ასევე, ოპტიმიზირებული ბიზნეს პროცესების შენახვისა და მათი გამოყენების უზრუნველსაყოფად შეიქმნა ცენტრის შიდა ელექტრონული პორტალი. ცენტრის ყველა სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლებს ჩაუტარდათ პირისპირ ტრენინგი, რომლის ფარგლებშიც შეისწავლეს ბიზნეს პროცესების სისტემის არსი, დანიშნულება და საზღვრები.



2023 წელს ცენტრმა პირველად გამოიყენა ერთიანი შეფასების ჩარჩო - CAF (Common Assessment Framework) მეთოდოლოგია ორგანიზაციული თვითშეფასების ჩასატარებლად. საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით, შესაბამისი მეთოდოლოგიით შემუშავდა სახელმძღვანელო. ცენტრის სტრუქტურულ ერთეულებთან ჩატარდა შეხვედრები და CAF მეთოდოლოგიის გათვალისწინებით შეივსო კითხვარები. კითხვარების გაანალიზების შედეგად იდენტიფიცირებულ იქნა მიგნებები/გამოწვევები. შედეგად, შემუშავდა ანალიზის დოკუმენტი. ძირითადი გამოწვევები გაზიარდა შესაბამის სამსახურებთან, იდენტიფიცირებული გამოწვევების საპასუხოდ მათ 2024 წელს დაგეგმეს ჯამში 8 აქტივობა, რომელიც აისახა ცენტრის 2024 წლის სამოქმედო გეგმაში.

## შიდა კვლევები და ანალიტიკური დოკუმენტები

### ცენტრის სერვისების მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ცენტრის სერვისების მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა. კვლევის მიზანს წარმოადგენდა იდენტიფიცირებული სერვისების მომხმარებელი ფიზიკური და იურიდიული პირებისგან უკუკავშირის მიღება ცენტრში გაწეულ მომსახურებებთან დაკავშირებით. სერვისების მომხმარებელთა კმაყოფილება შეფასდა შემდეგი 5 მიმართულებით: ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან და პროცედურებთან დაკავშირებული კონსულტაციები; ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობის ადმინისტრაციული მხარდაჭერის სერვისი; აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების „ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობაში მოყვანის მიზნებისთვის განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის სერვისი; არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვების სერვისი; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხარდამჭერი საქმიანობა. საკვლევი მიმართულებების შესაბამისად, განხორციელდა რაოდენობრივი (მონაცემების შეგროვების მეთოდი: გამოკითხვა) და თვისებრივი მეთოდოლოგიის (მონაცემების შეგროვების მეთოდი: ფოკუს-ჯგუფის დისკუსია) გამოყენებით. სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენდნენ მომხმარებლები, რომლებმაც საკვლევ პერიოდში (2022 წლის 1 ივლისიდან - 2023 წლის 30 ივნისის ჩათვლით) მიიღეს ცენტრის მომსახურება. რაოდენობრივი კვლევის მონაცემები დამუშავდა სტატისტიკური მონაცემების კომპიუტერული პროგრამით - IBM SPSS, აღწერითი სტატისტიკის გამოყენებით. სერვისის განხორციელებაში ჩართული ჯგუფების მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების შედეგები შემდეგია:

- ცენტრის მიერ დაინტერესებული მხარეებისთვის შეთავაზებული ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან და პროცედურებთან დაკავშირებული კონსულტაციის სერვისით მომხმარებელთა კმაყოფილების ხარისხი, განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად, საერთო ჯამში, მაღალი ხარისხით ფასდება. რაც შეეხება ავტორიზაციის შესახებ კონსულტაციის მიღებასთან დაკავშირებით ცხელი ხაზის საშუალებით დაფიქსირებულ მოთხოვნაზე ცენტრის უკუკავშირის მიღების ვადებს, რესპონდენტების ინფორმაციით, უკუკავშირი უმეტესად მიიღება კითხვარში პასუხების ალტერნატივებით გათვალისწინებულ უმოკლეს ვადაში (1-3 სამუშაო დღე), რაც, მიანიშნებს მოთხოვნაზე მყისიერი რეაგირების პრაქტიკაზე. პასუხები ასევე შეესაბამება 4-6 სამუშაო დღეს (რიგით მე-2 სიხშირით), და, მცირე



ნაწილში შედარებით დიდი ვადა - 7 სამუშაო დღე და მეტი აღინიშნება. რეკომენდებულია, დამატებით შესწავლილ იქნას ცენტრში ცხელი ხაზით დაფიქსირებულ მოთხოვნაზე უკუკავშირის მიწოდების ვადებთან დაკავშირებული პრაქტიკა და აღნიშნული ვადები ფორმალურად განისაზღვროს. რეკომენდებულია, განხილულ იქნას რესპონდენტების მცირე ნაწილის მოთხოვნები კონსულტაციის სერვისთან დაკავშირებით: დაწესებულებების რეგისტრაციის ელექტრონული პლატფორმის მუშაობის გამართვა; კონსულტაციის ფარგლებში ინფორმაციის მეტად დეტალიზებული, მარტივი სახით მიღება და კონსულტაციის დღეების რაოდენობის გაზრდა;

➤ **ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობის ადმინისტრაციული მხარდაჭერის სერვისით,** საკოორდინაციო საბჭოს წევრების კმაყოფილების ხარისხი, მისი შემადგენელი კომპონენტების მიხედვით, მაღალია. საბჭოს საქმიანობის ადმინისტრირების პროცესის ცვლილებებთან დაკავშირებით კონკრეტული მოთხოვნა დააფიქსირეს უცხოელმა ექსპერტებმა, რაც უკავშირდება საბჭოს სხდომების ჩანიშვნას. მათი მოსაზრების შესაბამისად, რეკომენდებულია, წლის დასაწყისში განისაზღვროს საბჭოს რიგითი სხდომის თარიღები. საბჭოს მხარდაჭერი საქმიანობის განვითარების მიზნით, რეკომენდებულია, სხვადასხვა განმავითარებელი ღონისძიების მიზნობრიობის განსაზღვრა და განხორციელება;

➤ **აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების „ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობაში მოყვანის მიზნებისთვის განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის სერვისის** მომხმარებლები საჭირო და სასარგებლო სერვისად მიიჩნევენ. სერვისის გაუმჯობესებაზე მიმართული კომენტარები ეხება სერვისის პროცედურულ ნაწილს და დაკავშირებულია შეფასების პროცესის ჭარბი დეტალიზაციის, პარალელური წარმოებების ფარგლებში კომპონენტების ურთიერთ გადაფარვის და პარალელური წარმოებების ვადების ურთიერთ დამთხვევის საკითხებს, რაც, თავის მხრივ, პროცესში მონაწილე მხარეებისთვის რესურსების მაღალ დანახარჯს იწვევს. რესპონდენტების მოსაზრებით, რეკომენდებულია გადაისინჯოს სერვისის პროცედურა, ასევე, უზრუნველყოფილი იყოს სხვადასხვა წარმოების თანმიმდევრული (და არა ერთდროული) განხორციელება.

ექსპერტულ შეფასებასთან დაკავშირებით აღინიშნა ინფორმაციის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული სირთულეები. მონაწილეების რეკომენდაციით, შეფასების ობიექტთან დაკავშირებით დასკვნის მომზადებამდე, მეტი სიცხადისთვის, უმჯობესია, ექსპერტმა მიმართოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას (უსდ) დიალოგის/შეხვედრის ფორმატში.

ექსპერტთა დასკვნასთან დაკავშირებით მონაწილეთა ნაწილის უკმაყოფილება დაკავშირებულია დასკვნაში დაწესებულების პოზიციის გაზიარების/არ გაზიარების საფუძველის წარმოუდგენლობაზე, რაც აღნიშნულის დასკვნაში ასახვის საჭიროებაზე მიუთითებს.

როგორც აღინიშნა, სასურველი შედეგის მიღწევის პირობებში, პროცესის წარმართვის თაობაზე საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ექსპერტების მოსაზრებებს/ხედვებს შორის სხვადასხვაობა (შეუსაბამოდ) ხდება რეკომენდაციის გაცემის საფუძველი. შესაბამისად, მიზანშეწონილია აღნიშნულის დამატებით განხილვა ექსპერტთა ჯგუფთან.

აღინიშნა შემთხვევები, რომლებიც საბჭოს მუშაობასთან დაკავშირებულ შესაძლო ხარვეზებს უკავშირდება: პროცესების აღრევა სხდომაზე მსჯელობისას; საბჭოს წევრი, კონკრეტული დარგის სპეციალისტის მაღალი გავლენა ამ დარგის შესაბამისი პროგრამის თაობაზე გაცემულ

რეკომენდაციებზე, რაც არათანაბარ პირობებში ამყოფებს პროგრამებს. რეკომენდებულია, ცენტრის მხრიდან აღნიშნულ საკითხებზე გაგრძელდეს მსჯელობა.

მონაწილეების ნაწილი საბჭოს მიერ უსდ-თვის ხარვეზის გამოსასწორებლად განსაზღვრულ ვადას (გარკვეულ შემთხვევებში) შეუსაბამოდ მიიჩნევს. რაც მიანიშნებს ვადის განსაზღვრის საკითხის გადახედვაზე (ცვლილების ტიპისა და მიმდინარე სასწავლო პერიოდის გათვალისწინებით);

- არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვების სერვისის მიმართულებით კვლევამ გამოავლინა რესპონდენტების კმაყოფილება. რესპონდენტების გამოცდილებაში არსებულ პრობლემურ საკითხად აღინიშნა ცენტრში სერვისის განაცხადის წარდგენის პროცესში არსებული ტექნიკური ხარვეზები, რაც უკავშირდებოდა QMS სისტემას, თუმცა, მიმართვის საფუძველზე პრობლემები დროულად აღმოიფხვრა;
- ცენტრის მხარდამჭერი საქმიანობით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრების კმაყოფილება, მისი შემადგენელი კომპონენტების მიხედვით, მაღალი ხარისხით ფასდება. საბჭოს მხარდამჭერ საქმიანობასთან დაკავშირებული საჭიროებები მიემართება საბჭოს ავტორიზაციის დებულებით გათვალისწინებული სტანდარტებისა და საბჭოს უფლება-მოვალეობების შესახებ საბჭოს ინფორმირებულობის გაზრდის (1), საბჭოს სხდომაზე განსახილველი საკითხების რაოდენობის რეგულირების (მაქსიმუმ, 5-6 საკითხი), ხოლო, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი სხდომის ჩანიშვნის (2) საკითხებს. რეკომენდებულია, აღნიშნული განხილულ იქნას პასუხისმგებელი სამსახურის მიერ. საბჭოს განმავითარებელი ღონისძიებების დაგეგმვისას, სასურველია, გათვალისწინებულ იქნას კვლევისას დაფიქსირებული საბჭოს შემდეგი მოთხოვნები: მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს შემუშავება; საბჭოს სამუშაო გამოცდილების ანალიზზე მიმართული სამუშაო შეხვედრების ორგანიზება; ექსპერტების მიერ სკოლებიდან გამოთხოვილი დამატებითი მასალის საბჭოსთვის გაზიარება, და, საგნობრივ ექსპერტებთან ორგანიზებული საბჭოს შეხვედრები. ამასთანავე, საბჭოს საქმიანობის ადმინისტრირების პროცედურის სრულყოფისა და ცენტრში მოქმედი საბჭოების ადმინისტრაციული მხარდაჭერის პროცესისადმი ერთგვაროვანი მიდგომის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია შემუშავდეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ-ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფის წესი.

## თემატური ანალიზები

დასრულდა მუშაობა თემატურ ანალიზზე [ავტორიზაცია-აკრედიტაციის 3 წლიანი შუალედურ ანგარიშების ეფექტიანობის](#) მიმართულებით. ანალიზის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები ძირითადად განკუთვნილია ცენტრის მიმართ და ემსახურება როგორც სამწლიანი ანგარიშების, ისე ზოგადად, ცენტრის მიერ განხორციელებული ავტორიზაცია/აკრედიტაციის თანმდევი შეფასებების სამომავლო განვითარებას, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების სამომავლო სრულყოფისათვის.

ამასთან, დაიწყო მუშაობა ავტორიზაციისა (2018-2023) და აკრედიტაციის (2022-2023 წლების კლასტერი) ციკლური შეფასებების თემატურ ანალიზებზე. ეს ანალიზები ცენტრს დაეხმარება, დააიდენტიფიციროს როგორც დადებითი პრაქტიკები, ასევე არსებული გამოწვევები და გაცემული რეკომენდაციების ფარგლებში შემდგომში სამსჯელო იქნება განვითარების პროცესებისთვის მიმართულებების მიცემა.

საანგარიშო პერიოდში ცენტრში განხორციელდა თემატური ანალიზი: „საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და ეროვნული საკანონმდებლო ბაზის ანალიზი საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში მიკროკრედიტების დანერგვისთვის“. ანალიზის მიზანია უმაღლესი განათლების სისტემაში მიკროკრედიტების დანერგვის, განხორციელებისა და აღიარების მიმართულებით არსებული ჩარჩო-დოკუმენტებისა და საერთაშორისო პრაქტიკების მიმოხილვის გზით, საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში მიკროკრედიტების დანერგვისთვის, განხორციელებისა და აღიარებისთვის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის საჭიროებების იდენტიფიცირება და საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირებისთვის შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება. ანალიზი ჩატარდა სამაგიდე კვლევის მეთოდოლოგიის გამოყენებით.

შედეგად შემუშავდა შემდეგი რეკომენდაციები: იმის გამო, რომ საქართველოში არაფორმალური განათლების აღიარების მექანიზმები შედარებით გვიან შეიქმნა და უმაღლესი განათლების საფეხურზე მსგავსი გამოცდილება პრაქტიკულად არ არსებობს, მიზანშეწონილია პირველ ეტაპზე, საპილოტე რეჟიმში, კონკრეტული კრიტერიუმების შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებებში, დაიწყოს მიკროკრედიტების დანერგვის პილოტირება. შემდგომ, არსებულ პრაქტიკაზე დაკვირვებითა და გამოწვევების იდენტიფიცირებით, შესაძლებელი გახდება მიკროკრედიტების ფართომასშტაბიანი დანერგვა უმაღლესი განათლების სისტემაში.

საწყის ეტაპზე მიზანშეწონილია, გათვალისწინებულ იქნას ახალი ზელანდიის მოდელი, რომელიც ითვალისწინებს მიკროკრედიტების გარე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ჩართულობას.

უმაღლესი განათლების სისტემის სპეციფიკის გათვალისწინებით, იმისთვის რომ მიკროკრედიტ-პროგრამის ფარგლებში ჩამოყალიბდეს რეალისტური, გაზომვადი და მიღწევადი სწავლის შედეგები და შესაძლებელი იყოს შედეგების მიღწევის გაზომვა და შეფასება, მიზანშეწონილია მიკროკრედიტების მინიმალური მოცულობა განისაზღვროს არანაკლებ 1 ECTS კრედიტის, ხოლო მაქსიმალური - არაუმეტეს 30 ECTS კრედიტის მოცულობით.

მიზანშეწონილია, პირველ ეტაპზე განისაზღვროს სწავლის სფეროთა ის სპექტრი, რომლებშიც საპილოტე რეჟიმში განხორციელდება მიკროკრედიტიანი პროგრამები და რომელთა აღიარებაც შესაძლებელი იქნება ფორმალური უმაღლესი განათლების კონკრეტულ საფეხურზე.

მიზანშეწონილია, განისაზღვროს კონკრეტულ სფეროში მიკროკრედიტების შემუშავების, განხორციელებისა და მიკროკრედიტებზე დაშვების წინაპირობები.

რეკომენდებულია პროგრამაზე დაშვებისთვის მსურველს ჰქონდეს არანაკლებ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, ან მისი ექვივალენტი. განმახორციელებელ დაწესებულებას უნდა ჰქონდეს უფლება უფრო მაღალი/სხვა დაშვების მოთხოვნები განსაზღვროს.

იმისთვის, რომ მიკროკრედიტები გამოყენებულ იქნას უსდ-ებსა და დასაქმების ბაზრის აქტორებს შორის კომუნიკაციისა და თანამშრომლობის გაღრმავებისთვის, აუცილებელია, მისი განხორციელების უფლების მოპოვებისთვის დაწესებულებამ, შესაბამის დამსაქმებელთან თანამშრომლობით, წარმოადგინოს არგუმენტირებული დასაბუთება, თუ რატომ არის საჭირო მიკროკრედიტ-პროგრამის შემუშავება და განხორციელება კონკრეტულ სწავლის სფეროში. რეკომენდაციები საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში მიკროკრედიტების დანერგვის, განხორციელებისა და აღიარების სამართლებრივი მოწესრიგებისთვის ეროვნულ კანონმდებლობაში მიკროკრედიტების სისტემის დანერგვის მიზნით, საკანონმდებლო დონეზე უნდა განისაზღვროს მიკროკრედიტის ცნება, მისი განმახორციელებელი სუბიექტები, ასევე მიკროკრედიტის აღიარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.

არსებობს მიკროკრედიტის სისტემის დანერგვის ორი შესაძლებლობა: ა) განმახორციელებელი იყოს მხოლოდ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და ბ) განმახორციელებელი იყოს როგორც

უსდ, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის არმქონე იურიდიული პირი. ასევე, მიკროკრედიტის აღიარება შესაძლებელია განხორციელდეს ცენტრალურ დონეზე (სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ), ან ინსტიტუციის დონეზე (უშუალოდ განმახორციელებელი უსდ-ს მიერ).

ამასთან, ზემოაღნიშნული ალტერნატივებიდან შესაბამისი ალტერნატივის შერჩევის შემდგომ, შესაძლებელია საკანონმდებლო დონეზე განისაზღვროს შემდგომი რეგულაციები.

ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმად შესაძლებელია შემოთავაზებული იქნეს: ა) მიკროკრედიტის აკრედიტაცია; ბ) მიკროკრედიტის განმახორციელებელი/ამღიარებელი უსდ-ს მიერ მიკროკრედიტის განხორციელებისა ან/და აღიარების მექანიზმის (ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმის) შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების ფარგლებში.

მიკროკრედიტის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმის არსებობა, ხელს შეუწყობს განმახორციელებლების მიერ მიკროკრედიტის დანერგვის პროცესს.

### **პოლიტიკის ნარკვევები**

საანგარიშო პერიოდში განათლების ხარისხის მიმართულებით, პოლიტიკის 3 ნარკვევი (policy briefs) შემუშავდა. პოლიტიკის ნარკვევის მიზანია წარმოაჩინოს პრობლემა და მოკლედ შეაფასოს პოლიტიკის შესაძლებლობები კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით. 2023 წლის განმავლობაში შემუშავებული პოლიტიკის ნარკვევები მომზადდა შემდეგ თემებზე: თემატური ანალიზის დაგეგმვის სტრატეგიული მიდგომა, უმაღლესი და პროფესიული მიმართულებით ესტონეთის რესპუბლიკის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს (HAKA) მაგალითზე; განათლების ავტომატური აღიარება - განათლების აღიარების ალტერნატიული გზები; EQAVET ინდიკატორი №5: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი. თითოეულ დოკუმენტში განხილულია, აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, არსებული პრობლემები და გამოწვევები, გაზიარებულია საერთაშორისო გამოცდილება და ამის საფუძველზე შეთავაზებულია შესაბამისი რეკომენდაციები. პოლიტიკის ნარკვევი პოლიტიკის განმახორციელებელ პირებს დაეხმარებათ გაანალიზონ მასში წამოჭრილი საკითხი/გამოწვევა და მიიღონ გადაწყვეტილება მასში წარმოდგენილი რეკომენდაციების შესაბამისად.

## თავი II. ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით განხორციელებული აქტივობები

### უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა

#### ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესების განვითარება

2023 წელი უმაღლესი განათლების სისტემისთვის გამორჩეული იყო მნიშვნელოვანი განხორციელებული აქტივობებით და შედეგებით, რაც არსებითია უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების წახალისებისა და თანმიმდევრული განვითარებისათვის.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით განხორციელებული მნიშვნელოვანი რეფორმების შედეგად, 2023 წლიდან ყველა საფეხურისა და სახის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პროცესში ჩაერთნენ საერთაშორისო ექსპერტები, რომლებიც თავმჯდომარის რანგში ხელმძღვანელობენ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს. ექსპერტთა ჯგუფში საერთაშორისო ექსპერტებთან ერთად შედიან - დარგის ადგილობრივი ექსპერტები, სტუდენტი და დამსაქმებელი. გარე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში საერთაშორისო ექსპერტის ჩართულობა უზრუნველყოფს ინტერნაციონალიზაციის პროცესის მხარდაჭერას, მეტობიექტურობას, მიუკერძოებლობას და სასარგებლო საერთაშორისო პრაქტიკების გაზიარებას.

2023 წელს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის არსებობის ისტორიაში პირველად, ცენტრმა განახორციელა უცხო ქვეყანაში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო აკრედიტაცია. 2018 წელს ცენტრმა მოიპოვა სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) აღიარება, რაც ბევრ უპირატესობასთან ერთად, პირველ რიგში ნიშნავს საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ადმინისტრირებული მედიცინის პროგრამების კურსდამთავრებულების მიერ მიღებული განათლების აღიარებას ამერიკის შეერთებულ შტატებში და საზღვარგარეთის ბევრ სხვა ქვეყანაში. ეს კი, თავის მხრივ, ხელს უწყობს კურსდამთავრებულების წარმატებით დასაქმებას და კარიერულ წინსვლას. ამის ნათელი დასტურია ის ფაქტი, რომ საერთაშორისო აკრედიტაციის მიღების მიზნით, ცენტრში 2023 წელს დარეგისტრირდა მედიცინის 3 საგანმანათლებლო პროგრამა, რომელთა შეფასების პროცესში ჩაერთნენ ბრიტანელი, უნგრელი, ქართველი და უცხოური უნივერსიტეტის ქვეყნის ადგილობრივი აკრედიტაციის ექსპერტები. ცენტრის მიერ განხორციელებული საერთაშორისო აკრედიტაციის პროცესი უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის კუთხით ცენტრში არსებული გამოცდილების გაზიარებას, უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ამაღლებას და საერთაშორისო თანამშრომლობის საშუალებით განათლების ხარისხის განვითარების მხარდაჭერას, ასევე ადგილობრივი ექსპერტების და ცენტრის წარმომადგენლების პროფესიულ განვითარებას.


#### უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ადმინისტრაციული წარმოებები

2023 წელს, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ვიზიტები ხორციელდებოდა დაწესებულებაში ადგილზე ვიზიტის რეჟიმში, ხოლო საბჭოს სხდომები ხორციელდებოდა დისტანციურად.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ავტორიზაციის, აკრედიტაციისა და სააპელაციო საბჭოს სხდომები, მათ შორის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 8 სხდომა, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 72 სხდომა და სააპელაციო საბჭოს


სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

2 სხდომა. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ განიხილა - 484 საკითხი; მათი განხილვის შედეგად, საბჭომ მიიღო შემდეგი სახის გადაწყვეტილებები: აკრედიტაცია მიენიჭა - 341 საგანმანათლებლო პროგრამას; პირობითი აკრედიტაცია მიენიჭა - 16 საგანმანათლებლო პროგრამას; აკრედიტაციის მინიჭებაზე უარი ეთქვა - 2 საგანმანათლებლო პროგრამას; მონიტორინგის შედეგად წარმოება შეწყდა 63 საგანმანათლებლო პროგრამაზე; რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა განხორციელდა 89 საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებაში; 20 გადაწყვეტილებაში შევიდა ცვლილება.



გრაფიკი 2: უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის წარმოებები

საანგარიშო პერიოდში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ მიიღო 26 გადაწყვეტილება, მათ შორის: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის ავტორიზაციის მინიჭების შესახებ 2 გადაწყვეტილება, მონიტორინგის ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ 18 გადაწყვეტილება; ავტორიზაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის ცნობად მიღების შესახებ - 2 გადაწყვეტილება; გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება - 1 შემთხვევა, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ - 3 გადაწყვეტილება, მათ შორის 2 დააკმაყოფილა, ხოლო 1 უარი უთხრა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდაზე.



გრაფიკი 3: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის წარმოებები



სააპელაციო საბჭომ მიიღო 2 გადაწყვეტილება:1 გადაწყვეტილება ეხებოდა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებაზე წარმოდგენილი საჩივრის წარმოებაში მიღებას, ხოლო 1 გადაწყვეტილება იყო უარი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე წარმოდგენილი საჩივრის წარმოებაში მიღებაზე.

### **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერი ღონისძიებები**

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების სპეციფიკის გაცნობის მიზნით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს ახლადდანიშნული წევრებისათვის გაიმართა სამუშაო შეხვედრები. ამასთან, სამუშაო შეხვედრები გაიმართა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და სააპელაციო საბჭოს წევრებთან. შეხვედრების თემატიკა შეეხებოდა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის თავისებურებების მიმოხილვას. ასევე, საბჭოს საქმიანობის პრინციპების გაცნობას.

წლის მანძილზე სხვადასხვა კერძო და საჯარო უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან იმართებოდა თემატური საინფორმაციო შეხვედრები და ტრენინგები, მათ შორის უცხოური სააგენტოს მიერ მინიჭებული აკრედიტაციის საქართველოში აღიარებასთან და ერთობლივი პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ გაიმართა ტრენინგი საერთაშორისო ექსპერტის ხელმძღვანელობით, რომელშიც ჩართული იყვნენ წარმომადგენლები იმ დაწესებულებებიდან, რომელთაც 2024 წელს უწევთ ავტორიზაციის გავლა. ტრენინგის ფარგლებში ექსპერტმა გააზიარა გამოცდილება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის თვითშეფასების პროცესის მომზადებასთან დაკავშირებით.

წლის გამავლობაში მიღებული საერთაშორისო გამოცდილების შესაბამისად, გადაიხედა არსებული პრაქტიკა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერის და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარების მიზნით, გადახალისდა არსებული და შემუშავდა ახალი სახელმძღვანელო დოკუმენტები:

- რჩევები სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შეფასებისათვის;
- რჩევები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში / დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შეფასების თაობაზე;
- ავტორიზაციის თვითშეფასების ანგარიშის მომზადების გზამკვლევი;
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მიზნებისთვის განხორციელებული თვითშეფასების პროცესის და ანგარიშის მომზადების გზამკვლევი.

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსი**

უმაღლესი განათლების მიმართულებით, ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსს დაემატა 20 ახალი ექსპერტი, ხოლო აკრედიტაციის კორპუსს 86 ექსპერტი. ამასთან, განხორციელდა ხელოვნების, სპორტისა და თავდაცვის დარგების მიმართულებით აკრედიტაციის ექსპერტთა ატესტაციის პროცესი, ამავდროულად, დაიწყო მზადება 2024 წლის ბიზნესისა და ადმინისტრირების სფეროებში ექსპერტთა შერჩევისთვის.

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის ახალი წევრებისათვის (ადგილობრივი და საერთაშორისო) ჩატარდა 6 ერთობლივი ტრენინგი.

აკრედიტაციის ექსპერტთა საქმიანობის ანალიზის შედეგად, კლასტერული აკრედიტაციის მოდელზე გადასვლასთან დაკავშირებით, თვისებრივად განახლდა აკრედიტაციის ექსპერტთა სახელმძღვანელო.

**პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფა**

**საგანმანათლებლო დაწესებულებებში ადმინისტრაციული წარმოებები**

საანგარიშო პერიოდში პროფესიული განათლების მიმართულებით ჩატარდა პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 19 სხდომა და განხილული იქნა 105 საკითხი. ამასთან, ავტორიზაციის საბჭოს 23 სხდომა და განხილულ იქნა 111 საკითხი.

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, განხორციელდა მონიტორინგის 23 ადმინისტრაციული წარმოება - 16 საბჭოს შუამდგომლობით, 6 გეგმიური და 1 არაგეგმიური მონიტორინგი, ხოლო, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით 3 გეგმიური მონიტორინგი.

2023 წლის პერიოდში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ 8 დაწესებულებაში განხორციელდა განათლების ხარისხის გარე უზრუნველყოფის ფარგლებში ინსტიტუციური შეფასებები - რეავტორიზაციის/ავტორიზაციის 8 ადმინისტრაციული წარმოება.

2023 წლის განმავლობაში განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების 14 ადმინისტრაციული წარმოება, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის 15 ადმინისტრაციული წარმოება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების 5 ადმინისტრაციული წარმოება.

2023 წლის განმავლობაში განხორციელდა პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების 209 პროგრამის ელექტრონულ სისტემაში უფლების მოპოვების გარეშე რეგისტრაციის ან/და უფლების მოპოვების ადმინისტრაციული წარმოება, მათ შორის, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მოპოვების გარეშე ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის 126 ადმინისტრაციული წარმოება, უფლების მოპოვების 83 ადმინისტრაციული წარმოება და გეგმიური მონიტორინგის 3 ადმინისტრაციული წარმოება.



## პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდამჭერი ღონისძიებები და მხარდამჭერი სახელმძღვანელოები

ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცდა ავტორიზაციის პროცესში გამოყენებული განაცხადებისა და ექსპერტთა დასკვნების განახლებული ფორმები, რომლებიც განთავსდა ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე და გაეგზავნა საგანმანათლებლო დაწესებულებებს.

გაეროს განვითარების პროგრამის (VET ფაზა 3) ფარგლებში მომზადდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების გზამკვლევი. ასევე, გაეროს განვითარების პროგრამის (VET ფაზა 3) ფარგლებში მომზადდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების 360 გრადუსიანი თვითშეფასების პლატფორმა.

- ✓ სამსახურის მიერ მომზადდა რეკომენდაციები პროგრამის ბიუჯეტის განსაზღვრის შესახებ, რომელიც განთავსდა ცენტრის ვებ-გვერდზე. ასევე, სამსახურის მიერ შემუშავდა ანალიზის დოკუმენტი, რომელიც ადგენს თავსებადობას პროფესიული განათლების, უმაღლესი და ზოგადი განათლების საფეხურზე საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებსა და პროცედურებთან დაკავშირებით.

საანგარიშო პერიოდში შედგა შეხვედრა ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით. შეხვედრას ესწრებოდა 100 პირი. შეხვედრის თემას წარმოადგენდა პროგრამის ბიუჯეტის შედგენის საკითხები. შეხვედრის შემდეგ მომზადდა რეკომენდაციების დოკუმენტი, რომელიც მიეწოდა საგანმანათლებლო დაწესებულებებს და განთავსდა ცენტრის ვებ-გვერდზე.

ჩატარდა შეხვედრა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების არსებული მდგომარეობის შეფასებისა და ანალიზის შედეგად გამოვლენილი რეკომენდაციების განხილვა/შეჯამებისთვის. შეხვედრას ესწრებოდნენ ინტეგრირებული პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების და პროფესიული უნარების სააგენტოს წარმომადგენლები.

შედგა შეხვედრა/ტრენინგი შრომის ბაზრის კვლევისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიზანშეწონილობის დასაბუთებასთან დაკავშირებით. შეხვედრას ესწრებოდა 77 პირი. ჩატარდა სამუშაო შეხვედრა ევროპის განათლების ფონდის ETF - ის მხარდაჭერითა და აქტიური ჩართულობით EQAVET - ის ინდიკატორების ინტეგრირებასა და აღნიშნული ინდიკატორებით პროფესიული განათლების სისტემის პროგრესის შეფასების განხორციელების საკითხებთან დაკავშირებით. შეხვედრაზე განხილული იქნა ასევე, 2022 წელს 5 ინდიკატორის მიხედვით განხორციელებული შეფასების ანგარიში. 2023 წელს სისტემის შეფასება განხორციელდა 2 ახალი ინდიკატორის მიხედვით. შეფასების შედეგებთან დაკავშირებით მომზადდა შესაბამისი ანგარიში.

2023 წელს გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერითა და პროექტის ინტერესის გათვალისწინებით, მიზნობრივად შეირჩა ხუთი აგრარული მიმართულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელთა შეფასებაც განხორციელდა ზემოაღნიშნული ორი ახალი EQAVET ინდიკატორის გამოყენებით (მე-5 და მე-6 ინდიკატორების) ასევე, დაიდენტიფიცირდა ოთხი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც უკვე რამდენიმე წელია ახორციელებს შერჩეულ პროგრამებს და უფიქსირდებაკურსდამთავრებულთა სულ მცირე ერთი ნაკადი. ასევე, EQAVET-ის რვა ინდიკატორი ინტეგრირდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების

რეაგტორიზაციისთვის წარსადგენ თვითშეფასების ფორმაში (2; 3; 4; 5; 6; 7; 8 და 9) პროგრამის შეფასებისა და პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დოკუმენტების სახით. აღნიშნულ ფორმების შევსება საგანმანათლებლო დაწესებულებებმა დაიწყო 2023 წლის მიღებიდან და პირველი მონაცემების მიღებას სისტემა შეძლებს 2027 წლისთვის.

გაიმართა შეხვედრა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. შეხვედრას ესწრებოდა 118 პირი, რომლებიც წარმოადგენენ საგანმანათლებლო დაწესებულებებს და ახორციელებენ ან სურთ განახორციელონ პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამები, რომელიც შემუშავებულია ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში. შეხვედრაზე განიხილულ იქნა პროფესიული მომზადების და გადამზადების პროგრამების ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის (დადასტურების) წარმოებების ფარგლებში ანალიზის შედეგად გამოვლენილი მიგნებები და შესაბამისი რეკომენდაციები.

ასევე, შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, საანგარიშო პერიოდში, გაიმართა ონლაინ შეხვედრა დაწესებულებებისა და იურიდიული პირებისათვის პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით.

### **პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსი**

2023 წლის პირველ ნახევარში გამოცხადდა კონკურსი ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტების სერტიფიცირების წესით შერჩევის მიზნით. განისაზღვრა ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტთა სერტიფიცირების ჩატარების უზრუნველსაყოფად კომისია და სამდივნო. აღნიშნული პროცესის შედეგად, 25 პირს მიენიჭა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სერტიფიცირებული სპეციალისტის სტატუსი შესაბამისი ბრძანების გამოცემიდან 5 წლის ვადით. აღნიშნული პირებიდან 23 პირი შევიდა ექსპერტთა კორპუსში.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა დარგის ექსპერტთა სამუშაო შეხვედრა/ტრენინგი, რომელზეც განხილულ იქნა ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებასთან, სამაგიდე კვლევის და ვიზიტის პროცესთან, დასკვნის შედგენასთან, ზეპირ მოსმენასა და ექსპერტთა შეფასებასთან დაკავშირებით არსებული გამოწვევები და რეკომენდაციები, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფში წევრებს შორის ფუნქციითა განაწილების საკითხი, ასევე, განხორციელდა სამუშაო ჯგუფებში მუშაობა - „ქეისების“ განხილვა. ასევე, ჩატარდა ანალოგიური სამუშაო შეხვედრა/ტრენინგი, ონლაინ ფორმატში, იმ დარგის ექსპერტებისთვის, რომლებიც ფიზიკურად ვერ დაესწრნენ 19 მაისს ჩატარებულ ტრენინგს. ჯამში ტრენინგი გაიარა 74 დარგის ექსპერტმა.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტების საქმიანობის შეფასებისა და ანალიზის მიზნით, გაანალიზდა 2023 წელს პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტთა შეფასებები. დოკუმენტი მოიცავს ექსპერტების საქმიანობის შეფასების შესწავლის შედეგებს, მიგნებებსა და რეკომენდაციებს.

ერთობლივი და გაცვლითი პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების წესისა და პირობების გაცნობის მიზნით ჩატარდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსის წევრებისათვის საინფორმაციო შეხვედრა/შეხვედრა ჩატარდა ონლაინ ფორმატში და ესწრებოდა 71 პირი.

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოები**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს ახალი შემადგენლობის შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით შედგა სამუშაო შეხვედრა, რომლის მიზანიც იყო ავტორიზაციის საბჭოს შესაძლებლობების გაძლიერება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებსა და პროცედურებში. ასევე, საბჭოს ფუნქციონირების გაძლიერება და ანალიზი. ექსპერტთა დასკვნისა და სხდომაზე საკითხის განხილვის შედეგად გადაწყვეტილებების მიღებისა და დასაბუთების უნარების გაძლიერება. ამასთან, ჩატარდა სამუშაო შეხვედრა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით. ტრენინგის ფარგლებში ყურადღება გამახვილდა შემდეგ საკითხებზე: საბჭოს საქმიანობის არსებული პრაქტიკის მიმოხილვა; პირველადი ავტორიზაცია/რეავტორიზაცია - შემოწმების ფარგლები და გადაწყვეტილებები; განახლებული ფორმებში EQAVET ინდიკატორების ინტეგრირება; დებულებაში დაგეგმილი ცვლილებების გაცნობა; 2022-2023 წლის მონიტორინგის ანალიზი; მიმდინარე პროცესებისა და სიახლეების გაცნობა პროფესიული განათლების მიმართულებით; შრომის ბაზრის ანალიზის როლი საბჭოს გადაწყვეტილებებში.

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით ჩატარდა სამუშაო შეხვედრა, რომელზეც ყურადღება გამახვილდა შემდეგ საკითხებზე: საბჭოს საქმიანობის არსებული პრაქტიკის მიმოხილვა; შრომის ბაზრის ანალიზის როლი საბჭოს გადაწყვეტილებებში; შრომის ბაზრის ანალიზის როლი პროგრამის საჭიროების დასაბუთებისთვის; 2021-2023 წლის სტატისტიკა - იურიდიული პირების/საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ უფლების მოპოვება/რეგისტრაცია.

**არაფორმალური განათლება**

2023 წელს არაფორმალური განათლების აღიარების უფლება დამატებით მოიპოვა ორმა დაწესებულებამ, დღეისათვის მოპოვებული აქვს 11 დაწესებულებას: შპს საზოგადოებრივი კოლეჯი NATALI ACADEMY; შპს თეგეტა აკადემია; შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია; შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია; სსიპ კოლეჯი "ბლექსი"; სსიპ - კოლეჯი „სპექტრი“; სსიპ - კოლეჯი „იბერია“; შპს - იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯი; ა(ა)იპ კულტურის ინსტიტუტი; ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისი; სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი. არაფორმალური განათლების აღიარების სერვისი ხელმისაწვდომია 11 სფეროში: ბიზნესი და ადმინისტრირება, ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიები, პერსონალური მომსახურებები, ინჟინერია და საინჟინრო საქმე, უსაფრთხოების უზრუნველყოფის მომსახურებები, განათლება, ჯანდაცვა, არქიტექტურა და მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, წარმოება და გადამამუშავება, ხელოვნება.

საანგარიშო პერიოდში მომზადდა პროფესიულ განათლებაში არაფორმალური განათლების აღიარების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ანალიზის დოკუმენტი და არაფორმალური განათლების აღიარების კონსულტანტთა საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიში. 2023 წელს არაფორმალური განათლების აღიარების ხუთმა სერტიფიცირებულმა კონსულტანტმა წარმართა სულ 16 აღიარების პროცესი, რომელთა ფარგლებშიც 13-მა მაძიებელმა მოიპოვა ნაწილობრივი აღიარება, ხოლო 3-მა სრული აღიარება.

## პროფესიული განათლების ხარისხის განვითარების მხარდაჭერა

პროფესიული განათლების ხარისხის განვითარების ქვეპროგრამის ფარგლებში, 2023 წელს მთლიანად შეიქმნა სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის ვებგვერდის პროექტი; მომზადდა სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის უფლების მოპოვების ეტაპების სქემის პროექტი; სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის უფლების მოპოვების მოკლე და ვრცელი გზამკვლევების პროექტები (ინფოგრაფიკი, პრეზენტაცია და ვიდეო); გზამკვლევის მოკლე პროექტი სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისთვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ; სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის ვებგვერდისთვის ინფორმაცია ექსპერტა კორპუსის შესახებ; სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის ვებგვერდისთვის ინფორმაცია საბჭოს შესახებ; ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის პროექტი; სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების საბჭოს შერჩევის წესის პროექტი; სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების წესის პროექტის შესაბამისად, ადმინისტრაციული წარმოებების პროცესში გამოსაყენებელი ფორმები (განაცხადები და ექსპერტთა დასკვნები, ჯამში 4 ფორმა).

პირველად საქართველოს განათლების სისტემაში, დაინერგა თანამშრომლობითი ვიზიტების მექანიზმი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების დონეზე, რომელიც ურთიერთშეფასებისა და საუკეთესო გამოცდილების გაზიარების გზით მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ურთიერთთანამშრომლობის ქსელისა და ხარისხზე ორიენტირებული საგანმანათლებლო დაწესებულების მხარდაჭერაში. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის ხარისხის უზრუნველყოფის გაუმჯობესების მექანიზმად თანამშრომლობითი ვიზიტების გამოყენება გავრცელებული პრაქტიკაა ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. თანამშრომლობითი ვიზიტები პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების გამოცდილების ურთიერთგაზიარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გაუმჯობესებისთვის დაბეჯითებით არის რეკომენდებული და მხარდაჭერილი ევროპის განათლების ფონდის (ETF) მიერ. თანამშრომლობითი ვიზიტების განხორციელების პრინციპი, რომელიც ურთიერთშეფასებისა და საუკეთესო გამოცდილების გაზიარების მიზნით ხორციელდება, გულისხმობს, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის შესაბამისი ანალიზისა და უკუკავშირს მიწოდებას მათგან, ვისაც აქვს პროფესიული განათლების სფეროში მუშაობის გამოცდილება და იცნობს მოცემული სფეროს სპეციფიკას. თანამშრომლობითი ვიზიტების განხორციელება უნიკალური შესაძლებლობაა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, მიიღონ დეტალური და ობიექტური უკუკავშირი სანდო, მაღალკვალიფიციური და საფუძვლიანად მომზადებული კოლეგებისგან. ვიზიტების შედეგად მიღებული გამოცდილება სასარგებლო იქნება როგორც მასპინძელი დაწესებულების, ასევე ვიზიტში მონაწილე კოლეგა ვიზიტორი დაწესებულებებისთვის, რადგან აღნიშნული მექანიზმი აძლიერებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებს თავიანთი ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირების გზით. აღნიშნული მექანიზმის წარმატებით დანერგვისათვის, ქვეპროგრამის ფარგლებში მომზადდა თანამშრომლობითი ვიზიტების განხორციელების მეთოდოლოგია; პროცესის წარმართვისათვის საჭირო 4 ფორმა: თანამშრომლობითი ვიზიტის ინიცირების ფორმა; თანამშრომლობითი ვიზიტის განრიგის ფორმა; პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში თანამშრომლობით ვიზიტში მონაწილეობის დასტურის ფორმა; უკუკავშირის ფორმა; ვიზუალური მასალა პროცესებისა და ეტაპების უკეთ აღქმისათვის; მოხდა აღნიშნული დოკუმენტების საჯაროობა, რისთვისაც ცენტრის ოფიციალური

ვებ-გვერდზე გამოიყო შესაბამისი "ფანჯარა" - <https://eqe.ge/ka/page/parent/1058/kolegialuri-vizitebi> სადაც განთავსდა აღნიშნული დოკუმენტები.

შედგა თანამშრომლობითი ვიზიტების მეთოდოლოგიის პრეზენტაცია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებთან. საგულისხმოა, რომ დამსწრე საზოგადოების მხრიდან დადებითად შეფასდა ცენტრის მიერ წარდგენილი ინიციატივა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობითი ვიზიტების დანერგვასთან დაკავშირებით.

საქართველოში პირველად, სსიპ კოლეჯმა „მოდუსმა“, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლობით ვიზიტს უმასპინძლა თემაზე, „სასწავლო პროცესის ორგანიზება“. ვიზიტორი დაწესებულებების სტატუსით მონაწილეობდნენ, როგორც საჯარო, ასევე კერძო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები. მათ შორის: სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი; შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი; შპს საზოგადოებრივი კოლეჯი “Natali Academy”; შპს კოლეჯი მესამე სამედიცინო; შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი; სსიპ კოლეჯი „ოპიზარი“.

გაიმართა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტების წლიური კონფერენცია, რომელზეც გაზიარებული იქნა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტების პროფესიულ განვითარების ახალი მიდგომები, ინოვაციური მეთოდები და საუკეთესო გამოცდილება. ასევე, ყურადღება გამახვილდა მიმდინარე აქტიურ საკითხებზე. ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული სტანდარტების ევროპული სტანდარტებთან (EQAVET) დაახლოების გზებისა და შესაძლებლობებზე.

ჩატარდა სამუშაო შეხვედრა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით.

ამასთან, ჩატარდა სამუშაო შეხვედრა პროფესიული განათლების მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩოს გადახედვა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დახვეწისა და ევროპულ ჩარჩოსთან დაახლოების მიზნით. შეხვედრის ფარგლებში დაიწყო აქტიური სამუშაო პროცესები პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებასა და სტანდარტების ცვლილებასთან დაკავშირებით. შემუშავდა შესაბამისი დოკუმენტების ცვლილების პროექტები, რომელშიც გათვალისწინებულია EQAVET-ის რვა ინდიკატორი ინტეგრირების საკითხი.

ჩატარდა სამუშაო შეხვედრა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების შესაძლებლობების გაძლიერება მიზნით. შეხვედრა წარმოადგენდა შემაჯამებელ აქტივობას ტრენინგების ციკლისა, რომელიც სამიზნე აუდიტორიისთვის განხორციელდა 13-16 ნოემბრის ჩათვლით. ტრენინგს და სამუშაო შეხვედრას ესწრებოდა 75 დაწესებულების წარმომადგენელი. დამსწრე პირებს გადაეცათ ტრენინგის გავლის სერტიფიკატები. აღნიშნული აქტივობა ხელს უწყობს ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით ერთიანი ხედვისა და მიდგომების ჩამოყალიბებას, მათ შორის ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული სტანდარტების ევროპული სტანდარტებთან (EQAVET) დაახლოების გზებისა და შესაძლებლობების გააზრებას და დაწესებულებების როლის უკეთ აღქმას მიმდინარე პროცესში.

გაანალიზდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები საგანმანათლებლო დაწესებულებების საუკეთესო გამოცდილების წარმოჩენის ნაწილში. 2020 წლის მარტიდან 2023 დეკემბრის ჩათვლით, ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული 800-მდე დასკვნიდან ექსპერტთა ჯგუფებს 19 შემთხვევაში აქვთ დასკვნებში ასახული ინფორმაცია დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკასთან დაკავშირებით.

## სხვა მნიშვნელოვანი საქმიანობა

შეიქმა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც დაევალა პროფესიული განათლების სისტემის მარეგულირებელი აქტების გადახედვა/ანალიზი; საჭიროების შემთხვევაში პროფესიული განათლების სისტემის მარეგულირებელი აქტების ცვლილებების პროექტების მომზადება; ანალიზისა და პროფესიული განათლების სისტემის მარეგულირებელი აქტების ცვლილებების პროექტების დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობა/უკუკავშირი. სამუშაო ჯგუფის მიერ დაინიცირდა ცვლილება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებაში, რომელიც ეხება დაწესებულებების ყოველწლიური თვითშეფასების განხორციელების საკითხებს. ავტორიზაციის დებულებისა და სტანდარტების გადახედვის მიმართულებით პროფესიული, უმაღლესი და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების წარმომადგენლების მიერ გადაიხედა ავტორიზაციის სტანდარტები და გამოიკვეთა სხვაობები, რომლებიც ფიქსირდება არსებულ სტანდარტებში, ასევე, მომზადდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების ცვლილების პროექტი; მოხდა იდენტიფიცირება საკითხების, რომლებიც უნდა აისახოს საქართველოს კანონში "პროფესიული განათლების შესახებ". იდენტიფიცირებული საკითხები მიეწოდა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს.

## ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა

### ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის რეფორმა

2023 წლის დასაწყისში ძალაში შევიდა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის პროექტი. ცვლილებები ითვალისწინებდა: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ახალი სტანდარტებს; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის განახლებული პროცედურებს; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის განახლებული საფასურებს. წარმოდგენილი ცვლილებები უზრუნველყოფს ზოგადი განათლების სისტემის შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარებას.

ხარისხის უზრუნველყოფის განახლებული მექანიზმების დანერგვის პროცესში 2023 წელს განხორციელდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების და ავტორიზაციის პროცესში ჩართული ყველა დაინტერესებული მხარის შესაძლებლობების გაძლიერება. კერძოდ, საჯარო და კერძო სკოლების, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსის წევრების, საგანმანათლებლო რესურსცენტრების წარმომადგენლების. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის განახლებული სტანდარტების დანერგვასთან და საჯარო სკოლების ავტორიზაციის პროცესის წარმართვასთან დაკავშირებით შექმნილი საკოორდინაციო ჯგუფის 8 სამუშაო შეხვედრა ჩატარდა. დაწესებულებების ინტერესების შესაბამისად, განხორციელდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინდივიდუალური მხარდაჭერა და კონსულტირება ახალი სტანდარტების დანერგვისა და სხვადასხვა ადმინისტრაციული წარმოებების (ავტორიზაცია, ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება, ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის



მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა) საკითხებში. განხორციელდა ტრენინგების ციკლი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტთან დაკავშირებით. ავტორიზაციის საკითხებთან დაკავშირებით ინდივიდუალური კონსულტაცია გაეწია 500-მდე საჯარო, 200-მდე კერძო სკოლას და სხვა დაინტერესებულ პირებს.

ავტორიზაციის პროცესთან დაკავშირებით გაიმართა 5 გაფართოებული საინფორმაციო შეხვედრა საჯარო სკოლების წარმომადგენლებთან და 5 შეხვედრა კერძო სკოლების წარმომადგენლებთან. საგანმანათლებლო რესურსცენტრების შესაძლებლობის გაძლიერების მიზნით საქართველოს მასშტაბით არსებული ყველა რესურსცენტრის თანამშრომლისთვის ჩატარდა ონლაინ ტრენინგი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის პროცესებთან დაკავშირებით (2 ტრენინგი). ამასთან, დამატებით ჩატარდა 3 დღიანი ტრენინგი (4 სატრენინგო ჯგუფი) რესურსცენტრების სპეციალისტებისთვის და 2 შეხვედრა რესურსცენტრების ხელმძღვანელებისთვის საჯარო სკოლების ავტორიზაციის პროცესთან დაკავშირებით (შესაბამისობის გეგმის მნიშვნელობა და სკოლის მიერ მისი განხორციელების პროცესში რესურსცენტრის როლი; სკოლების საჭიროებები; სკოლების კონსულტირება).

ამასთან, შემუშავდა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში ცვლილებების განხორციელების პროექტები ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით („ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი; „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი“; „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანება). დამტკიცდა ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით ახალი საავტორიზაციო ფორმები (სულ 6 ფორმა). დამტკიცდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით ცენტრში საავტორიზაციო განაცხადის წარდგენის წესი. დამტკიცდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ინფორმირების ფორმა.

განახლებული რეგულაციებისა და სტანდარტების შესაბამისად შემუშავდა და ცენტრის ვებ გვერდზე გამოქვეყნდა სხვადასხვა მეთოდოლოგიური დოკუმენტები და გზამკვლევები. ეროვნულ უმცირესობებზე ორიენტირებული მიდგომების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე მომზადდა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე საჯაროდ განთავსდა საინფორმაციო მასალა მოსწავლეთა უფლებებისა და მათი დაცვის მექანიზმების თაობაზე (<https://eqe.ge/ka/page/static/1022/mostsavleta-uflebebi>).

შემუშავდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების თვითშეფასების ახალი კითხვარი ქართულ ენაზე და ითარგმნა ეროვნული უმცირესობების ენებზე (სომხური, აზერბაიჯანული). თვითშეფასების ელექტრონული პლატფორმა ადაპტირდა აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე. შემუშავდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ თვითშეფასების განხორციელების წესის პროექტი.

### **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ადმინისტრაციული წარმოებები**

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის რეფორმის ფარგლებში, მას შემდეგ რაც 2023 წლიდან ამოქმედდა ავტორიზაციის ახალი სტანდარტები და განახლებული პროცედურები დაიწყო საჯარო სკოლების ეტაპობრივი ავტორიზაციის პროცესიც. ცენტრში წარდგენილ იქნა 339 საჯარო სკოლის საავტორიზაციო განაცხადი. 2023 წელს დასრულდა 332 საჯარო სკოლის ავტორიზაციის ადმინისტრაციული წარმოება. ყველა სკოლის ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილება, შესაბამის

დასკვნასთან და თანდართულ ოქმთან ერთად გამოქვეყნებულია ცენტრის ვებ გვერდზე (<https://eqe.ge/ka/page/static/973/daskvnebi-gadatsyvetelebebi>).

2023 წელს ავტორიზაცია მოიპოვა 310 სამსაფეხურიანმა და 22 ორსაფეხურიანმა საჯარო სკოლამ. ავტორიზებული სკოლების შესახებ, მათ შორის აღნიშნული 332 საჯარო სკოლის თაობაზე საინფორმაციო დოკუმენტი წარმოდგენილია ბმულზე:

<https://eqe.ge/ka/page/static/93/zogadsaganmanatleblo-datsesebulebebi>

განახლებული სტანდარტებითა და პროცედურებით 3 საჯარო და 6 კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩატარდა ავტორიზაციის საპილოტე შეფასებები. ავტორიზაციის სიმულაციური შეფასებები იმ კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში განხორციელდა, რომლებსაც 2024 წელს უწევთ რეავტორიზაცია და გამოთქვეს აღნიშნულ პროცესში ჩართვის მზაობა.

2023 წელს დასრულდა 55 კერძო სკოლის ავტორიზაციის ადმინისტრაციული წარმოება (აქედან 49 – 2022 წელს დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება ძველი რეგულაციებით განხორციელდა, ხოლო 6 ადმინისტრაციული წარმოება განხორციელდა განახლებული რეგულაციებით). ამასთან, 2023 წელს დასრულდა კერძო სკოლებთან დაკავშირებული შემდეგი ადმინისტრაციული წარმოებები: ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება (მონიტორინგი) – 8, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა - 6; ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება - 4; პროგრამის განხორციელების ადგილის / ფართის ცვლილება - 18; საზღვარგარეთ აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საქართველოში აღიარება - 2.

ამასთან, შემუშავდა ადმინისტრაციულ წარმოებებში მონაწილე ექსპერტების შეფასების ახალი ფორმები. მომზადდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფების დასკვნების ანალიზი გამოვლენილი შეუსაბამობების მიმართულებით. ანალიზის მიზანს წარმოადგენდა სისტემური პრობლემების გამოვლენა. ჯამში გაანალიზდა 332 საჯარო სკოლის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა. ანალიზის შედეგები წარედგინა ყველა დაინტერესებულ მხარეს ექსპერტთა კონფერენციაზე, საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე, სკოლებისთვის გამართულ საინფორმაციო შეხვედრაზე.

### **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო**

2023 წელს დამტკიცდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს ახალი შემადგენლობა<sup>1</sup> და საბჭოს წევრების უფლებამოსილება განისაზღვრა ორი წლით. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრების შესაძლებლობის გაძლიერების მიზნით ჩატარდა 2 ტრენინგი ავტორიზაციის ახალ სტანდარტებთან და განახლებულ რეგულაციებთან დაკავშირებით და განხორციელდა გასვლითი სამუშაო შეხვედრა საჯარო სკოლების სიმულაციური ავტორიზაციის საბჭოს სხდომასთან დაკავშირებით.

საბჭოს სხდომების სტატისტიკა: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს სხდომების რაოდენობა - სულ 71 (იანვარი - 4; თებერვალი - 4; მარტი - 4; აპრილი - 2; მაისი - 5; ივნისი - 2; ივლისი - 1; აგვისტო - 5; სექტემბერი - 10; ოქტომბერი - 13; ნოემბერი - 13; დეკემბერი - 8). ამასთან, სააპელაციო საბჭოს სხდომების რაოდენობა - 3 (12 იანვარი; 24 მაისი; 20 ივლისი).

<sup>1</sup> საქართველოს პრემიერ მინისტრის 2023 წლის 08 თებერვლის N17 ბრძანება



## ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსი

დამტკიცდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ახალი ექსპერტთა კორპუსი და 2023 წელს პირველად განხორციელდა ახალი რეგულაციების შესაბამისად, სკოლების შეფასებები ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებისა და ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საგნობრივი ექსპერტების მიერ. ექსპერტთა შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით ჩატარდა ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები ავტორიზაციის პროცესთან, ახალ სტანდარტებთან და შეფასებასთან დაკავშირებით.

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებისთვის ჩატარდა სამდღიანი ტრენინგი, ჯამში 4 ტრენინგი (ესწრებოდა დაახლოებით 160-მდე პირი), საგნობრივი ექსპერტებისთვის ჩატარდა 4 ორდღიანი ტრენინგი (ჯამში ესწრებოდა 260 პირი). ასევე, ექსპერტებთან ჩატარდა 7 სამუშაო / საინფორმაციო შინაარსის შეხვედრა (დასკვნის პროექტების შედგენისას ტექნიკური საკითხების განსახილველად; ასევე, საბჭოს სხდომაზე წარსადგენი პრეზენტაციის განხილვა; ადმინისტრაციული წარმოებებში ერთიანი მიდგომის დაცვა).

2023 წლის ბოლოს, ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა ექსპერტთა კონფერენცია, რომელიც მიზნად ისახავდა ავტორიზაციის პროცესში გამოვლენილი გარემოებების შეჯერებას და ექსპერტთა შორის გამოცდილების გაზიარებას.

## ადრეული და სკოლამდელი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა

### ადრეული და სკოლამდელი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის რეფორმა

ადრეული და სკოლამდელი განათლების მიმართულებით, მიმდინარე რეფორმის ფარგლებში, დამტკიცდა საქართველოს მთავრობის დადგენილება „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრთა შერჩევის წესი“. შეიქმნა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის საბჭო<sup>2</sup> რომლის შემადგენლობა ჩამოყალიბდა 8 წევრით. საბჭოს შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, ბაღების დიაგნოსტიკური თვითშეფასების ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში ჩატარდა სამდღიანი სამუშაო შეხვედრა.

შეიქმნა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩო, რომელიც არეგულირებს ავტორიზაციის პროცესს, განსაზღვრავს ავტორიზაციის სტანდარტებს და ადგენს შენობის ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწყობის მოთხოვნებს.

შემუშავდა და დამტკიცდა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის N4 სტანდარტის "სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა" სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების, კვების ორგანიზებისა და კვებითი რაციონის და შენობის ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების მიმართულებით დადგენილებებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან დაწესებულების/დაწესებულების სტატუსის მამიებლის შესაბამისობის შეფასების კითხვარები.

ამასთან, შემუშავდა და ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცდა:

<sup>2</sup> საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2023 წლის 19 სექტემბრის N168 ბრძანებით

- ✓ ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესი;
- ✓ ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის მუშაობის შეფასების კითხვარის ფორმა;
- ✓ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ან/და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განსაზღვრული პირის მიერ ექსპერტთა მუშაობის შეფასების კითხვარის ფორმა;
- ✓ ექსპერტთა ჯგუფის წევრების ან/და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განსაზღვრული პირის მიერ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მუშაობის შეფასების კითხვარის ფორმა;
- ✓ ადრეული აღზრდისა და განათლების, ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ეთიკის კოდექსი.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ საქართველოს კანონით 2024 წლისთვის განსაზღვრული ვალდებულების შესრულების მიზნით 2023 წელს განხორციელდა მოსამზადებელი სამუშაოები. კერძოდ, მომზადდა დაწესებულებების თვითშეფასებების შედეგების ანალიზის მეთოდოლოგია, რომლის მიხედვით დამუშავებული მონაცემზე დაყრდნობით შედგენილი სია საფუძვლად დაედება ბაღების ავტორიზაციის გავლის განრიგს. მეთოდოლოგიის შესაბამისად გადამზადდა 10 ანალიტიკოსი, რაც უზრუნველყოფს სისტემის მზაობას ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ საქართველოს კანონით, 2024 წლისთვის განსაზღვრული ვალდებულების შესრულებისთვის.

### **დაწესებულებების თვითშეფასების განხორციელება**

დაპილოტდა თვითშეფასების ელექტრონული პლატფორმა „Kg.eqe.ge“. პირველ ეტაპზე მომზადდა კონცეფცია, შეირჩა საპილოტე დაწესებულებები და პროცესში ჩართვისთვის ინფორმირებული თანხმობის მიღების მიზნით მათთან განხორციელდა კომუნიკაცია. პილოტირება განხორციელდა 7 დაწესებულებაში. შედეგად აღმოიფხვრა იდენტიფიცირებული ხარვეზები და გამზადდა პლატფორმა ფუნქციური დატვირთვისთვის.


მომზადდა და პლატფორმაში ინტეგრირდა თვითშეფასების სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი კითხვარები თვითშეფასების პროცესში ჩართული მხარეებისთვის (მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი, საგანმანათლებლო პერსონალი, ტექნიკური პერსონალი).

დაწესებულების თვითშეფასების პროცესის კოორდინირებულად წარმართვა დაეფუძნა თვითშეფასების განხორციელების კონცეფციას და გადანაწილდა 8 თვის პერიოდზე - 2023 წლის მაისიდან დეკემბრის ჩათვლით. გადანაწილებისას გათვალისწინებული იყო საბავშვო ბაღების საზაფხულო შევებულებების პერიოდი, მაღალმთიანი რაიონების გეოგრაფიულ-კლიმატური მდგომარეობა და სხვა სპეციფიური მოცემულობები. პროცესი ინტენსიური დატვირთვით წარიმართა, თუმცა ახლდა ინდივიდუალური თავისებურებები.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

ბაღების მხრიდან თვითშეფასებების განხორციელების პროცესი მიმდინარეობდა ცენტრის მხრიდან მხარდაჭერით. კერძოდ, თვითშეფასების სპეციალისტების შერჩევა მოხდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სერტიფიცირებული სპეციალისტებიდან. თვითშეფასების სპეციალისტი მიმაგრებული იყო თითოეულ დაწესებულებაზე ინდივიდუალურად და მხარდაჭერისთვის განსაზღვრული ჰქონდა 5-6 კვირიანი პერიოდი. თითოეულ ბაღთან ურთიერთშეთანხმებით სპეციალისტი ახდენდა მხარდაჭერის აქტივობების გეგმა-გრაფიკის შემუშავებას, სადაც ასახული იყო ინფორმაცია ტრენინგების/შეხვედრების/ადგილზე ვიზიტისა და სამუშაოების დასრულების ზუსტი თარიღების შესახებ.

თვითშეფასების პროცესში დამატებით მოგროვებულია ინფორმაცია თითოეული დაწესებულების ლოკაციის მიხედვით ადამიანური რესურსებისა და ინფრასტრუქტურული მოწყობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღჭურვის შესახებ, ფოტო მასალა და ანგარიში პროცესის მიმდინარეობისა და ძირითადი გამოწვევების შესახებ.




გრაფიკი 4: რეგისტრირებული დაწესებულებები

დიაგნოსტიკური თვითშეფასების პროცესის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი არის თვითშეფასების შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზი. ამ მიზნით ქვეპროგრამის ფარგლებში შემუშავდა თვითშეფასების ანალიზის მეთოდოლოგია და შესაბამისი ინსტრუმენტი. შემუშავებული დოკუმენტები საშუალებას იძლევა დაწესებულებებისა და ანალიტიკოსების შეფასებების შეწონილი ქულის გამოთვლით დადგინდეს თითოეული ბაღის პირობითი რეიტინგული ქულა, რაც შემდგომ გახდება ბაღების ავტორიზაციის განრიგის შექმნის საფუძველი.

დაწესებულების მიერ განხორციელებული თვითშეფასებების ანალიზისთვის განხორციელდა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრების ანალიტიკოსების შერჩევა და მომზადება. ტრენინგი შერეული ფორმატით წარიმართა, დასწრებით და ონლაინ, მეთოდოლოგიის ავტორებმა გააცნეს ანალიტიკოსებს შინაარსობრივი საკითხები, მეთოდოლოგიის სპეციფიკა, მონაცემთა დამუშავების ტექნიკური მიმართულებები და შექმნილი ინსტრუმენტები. საანგარიშო პერიოდში აღირიცხა ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედი ადრეული ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებები/ინდივიდუალური მეწარმეები, რომლებმაც წარმოადგინეს თვითშეფასება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პირველადი რეგისტრაციის ელექტრონულ სისტემაში დარეგისტრირდა 1945 დაწესებულება, 2023 წლის 31 მარტის მდგომარეობით აღნიშნულ რაოდენობას დაემატა 85

ინდივიდუალური მეწარმის ფორმით რეგისტრირებული მომსახურების მიმწოდებელი სუბიექტი, ხოლო 15 ოქტომბრის მდგომარეობით დაემატა არსებული დაწესებულებების 51 ფილიალი. 34 დაწესებულებამ აცნობა ცენტრის საქმიანობის შეწყვეტის შესახებ.

შედეგად კანონის ფარგლებში 2023 წლის მდგომარეობით ფუნქციონირებს 2047 საბავშვო ბაღი. 2047 დაწესებულების მიერ წარმოდგენილია თვითშეფასება ელექტრონული პლატფორმაზე.



გრაფიკი 5: რეგისტრირებული ბაღები

### ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსი

ცენტრის დირექტორის ბრძანებით შეიქმნა ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსი, რომელიც აერთიანებს კურიკულუმის 24 ექსპერტს, 30 ექსპერტს კვების დარგში, 31 სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტს და 50 ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტს.

ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსის წევრთა შესაძლებლობების გაძლიერებისთვის ცენტრმა უზრუნველყო ტრენინგების ჩატარება 5 ტრენინგ მოდულით განსაზღვრული თემატიკის შესაბამისად.

- კურიკულუმის ექსპერტების გაძლიერების მიზნით ჩატარდა 2 ორდღიანი ტრენინგი, თემაზე „კურიკულუმის შეფასება“;
- კვების დარგში ექსპერტების გაძლიერების მიზნით ჩატარდა ორდღიანი ტრენინგი;
- სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტების გაძლიერების მიზნით ჩატარდა ორდღიანი ტრენინგი;
- ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტების გაძლიერების მიზნით ჩატარდა ორდღიანი ტრენინგი.

## ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ჩართული მხარეების შესაძლებლობების გაძლიერება

2023 წელს ცენტრმა განახორციელა მთელი რიგი აქტივობები, რომელიც მიმართული იყო კერძო და საჯარო სექტორში მოქმედი დაწესებულებების წარმომადგენლების, მუნიციპალიტეტების, ბაღების გაერთიანებების შესაძლებლობების გაძლიერებაზე. პროცესი მოიცავდა თვითშეფასებისა და ავტორიზაციის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, დამხმარე მეთოდოლოგიური დოკუმენტების მომზადებას და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.

გაეროს ბავშვთა ფონდის - UNICEF პროექტის ფარგლებში მომზადდა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების გზამკვლევი, რომელიც ფარავს ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტით გათვალისწინებულ კომპონენტებს. გზამკვლევის დაიბეჭდა ტირაჟით 2200 და პირველადი რეგისტრაციის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებული 2047 დაწესებულებას უსასყიდლოდ გადაეცა. ბაღების დიაგნოსტიკური თვითშეფასების ქვეპროგრამის ფარგლებში მომზადდა 5 მეთოდოლოგიური გზამკვლევი: ავტორიზაციის პროცესის გზამკვლევი, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიური გზამკვლევი, ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია და ინსტრუმენტები, საკომუნიკაციო გეგმის შედგენის მეთოდოლოგია და კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების მარეგულირებელი მექანიზმის შემუშავების მეთოდოლოგია და ინსტრუმენტები.

ჩართული მხარეების შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, მთელი საქართველოს მასშტაბით ჩატარდა სამუშაო შეხვედრები, რომლითაც დაიფარა კერძო და საჯარო ბაღების, ბაღების გაერთიანებების და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები. კერძოდ, 68 მუნიციპალიტეტის და ბაღების გაერთიანების წარმომადგენლის ჩართულობისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარდა 6 ონლაინ შეხვედრა თემაზე: „მუნიციპალიტეტების როლი და პასუხისმგებლობა თვითშეფასების პროცესში და ავტორიზაციაში“. ბაღების გაერთიანების წარმომადგენლის ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარდა ორი ორდღიანი ინტენსიური სამუშაო შეხვედრა. ბაღების გაერთიანების წარმომადგენლის ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარდა ორი ორდღიანი ინტენსიური სამუშაო შეხვედრა. ბათუმის ბაღების გაერთიანების ინიციატივით, ქვეპროგრამის ფარგლებში ჩატარდა გასვლითი ორდღიანი სამუშაო შეხვედრა აჭარის რეგიონის მუნიციპალიტეტების, ბაღების გაერთიანებებისა და ბათუმის საჯარო ბაღების მენეჯერებისთვის ადრეული და სკოლამდელი განათლების ხარისხის რეფორმის და ავტორიზაციის სტანდარტების საკითხებში.

გაზრდილია დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა და ცნობიერება ადრეული და სკოლამდელი განათლების ხარისხის რეფორმის საკითხებში.

### თავი III. ეროვნული კვალიფიკაციების განვითარება

#### სწავლის სფეროების კლასიფიკატორში ცვლილებები

სწავლის სფეროების კლასიფიკატორში ცვლილებებისთვის მომზადდა შესაბამისი ინიცირებები, რომლის შედეგადაც დოკუმენტი 2023 წლის განმავლობაში<sup>3</sup> 5-ჯერ განახლდა. კლასიფიკატორში შემდეგ ექვს დეტალურ სფეროს შეეცვალა აღმწერი: „განათლების მეცნიერება“, „აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმოება“, „საშემსრულებლო ხელოვნება“, „თერაპია და რეაბილიტაცია“, „ტრანსპორტის მომსახურებები“, „სპორტი Sports“. კლასიფიკატორიდან ამოღებულ იქნა შემდეგი სწავლის სფეროები: აკადემიური გუნდის დირიჟორობა, სიმფონიური ორკესტრის დირიჟორობა, ლიტერატურათმცოდნეობა, შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა/ლიტერატურის შედარებითი კვლევები, ხოლო მეორე სვეტიდან კონფლიქტოლოგია. დეტალური სფეროების დასახელება შეეცვალა შემდეგ ოთხ სფეროს - განათლების მეცნიერება, თეატროლოგია, ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია, საზღვაო მეცნიერება. კლასიფიკატორს პირველ სვეტში დაემატა შემდეგი ოთხი სწავლის სფერო: სამუსიკო ხელოვნება, ლიტერატურათმცოდნეობა, შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა/ლიტერატურის შედარებითი კვლევები, ტრანსპორტის მომსახურებები, სახმელეთო სატრანსპორტო პროცესების მომსახურება. კლასიფიკატორის მესამე სვეტში პროფესიული განათლების სწავლის სფეროებს დაემატა სამი სწავლის სფერო - „ტვირთების ექსპედიერება“, „საწყობის ოპერირება“ და „რკინაბეტონის სამუშაოთა შესრულება“.

#### ეროვნულ კვალიფიკაციებთან დაკავშირებული ცვლილებები

დაზუსტდა კვალიფიკაციის მინიჭების შესაძლებლობები მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების დეტალურ სფეროში განთავსებულ სწავლის სფეროებში ფრჩხილებში არსებულ მითითებებისა/ტერმინების შესაბამისად. ასევე, დაზუსტდა - „გარემო“, „სოფლის მეურნეობა“, „მეტყვეობა“, „პერსონალური მომსახურებები“ „ინჟინერია და საინჟინრო საქმე“. დეტალურ სფეროში მოცემული საზღვაო ინჟინერიისა და საზღვაო ელექტროინჟინერიის შესაბამისი კვალიფიკაციის დასახელებების ფორმულირებები. განისაზღვრა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის და ვეტერინარიის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის ვადები.“

#### დარგობრივი მახასიათებლები

ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით და კლასტერული აკრედიტაციის გეგმის შესაბამისად შეიქმნა დარგობრივი საბჭოები, მათ მიერ შემუშავებულია 12 დარგობრივი მახასიათებელი - განათლების პოლიტიკის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი, ლიტერატურათმცოდნეობისა და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა/ლიტერატურის

<sup>3</sup> 17/11/2023 - საქართველოს მინისტრის ბრძანება - 123/ნ - ვებგვერდი, 21/11/2023; 15. 17/11/2023 - საქართველოს მინისტრის ბრძანება - 122/ნ - ვებგვერდი, 20/11/2023; 20/09/2023 - საქართველოს მინისტრის ბრძანება - 89/ნ - ვებგვერდი, 21/09/2023; 13. 27/07/2023 - საქართველოს მინისტრის ბრძანება - 71/ნ - ვებგვერდი, 31/07/2023; 12. 06/07/2023 - საქართველოს მინისტრის ბრძანება - 62/ნ - ვებგვერდი, 06/07/2023.

შედარებითი კვლევების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი, მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი, ფინანსების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი, ბიზნესის ადმინისტრირების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი, მარკეტინგის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი. სტომატოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი (შემუშავებულია ევროდირექტივით გათვალისწინებულ რეგულირებად სწავლის სფეროში), სახმელეთო სატრანსპორტო პროცესების მომსახურების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი, სპორტის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი, მასწავლებლის განათლების" უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი. განახლებულია/გადამუშავებულია 6 დარგობრივი დოკუმენტი: საზღვაო ინჟინერიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი, საზღვაო ელექტროინჟინერიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი, საზღვაო მეცნიერების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი, კონფლიქტოლოგიის უმაღლესი განათლების განახლებული დარგობრივი მახასიათებელი, სპორტის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი, მასწავლებლის განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი.

2023 წელს გაიმართა 188 სამუშაო შეხვედრა სხვადასხვა დარგობრივ საბჭოსთან, ხოლო საკონსულტაციო 24 შეხვედრა. მოზიდულ იქნა ფინანსური და ინტელექტუალური სახსრები უმაღლესი განათლებს დარგობრივი მახასიათებლების შემუშავების პროცესში, კერძოდ:

საჯარო მმართველობის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების პროცესში საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით, ცენტრისა და USAID საჯარო მმართველობის პროგრამის თანამშრომლობით და მათი ფინანსური მხარდაჭერით მოწვეულ იქნა უცხოელი ექსპერტი, რომელმაც მნიშვნელოვანი მიგნებები გამოკვეთა და აღნიშნულზე დაყრდნობით დარგობრივი საბჭოსთვის მომზადდა რეკომენდაციების პაკეტი. ამასთან, საჯარო მმართველობის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტის შესამუშავებლად დასკვნითი შეხვედრა გაიმართა, სადაც საბჭოს წევრები პირისპირ შეხვედნენ მოწვეულ ექსპერტს.

USAID განათლება მომავლისთვის პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით ორდღიანი სამუშაო შეხვედრა გაიმართა ნატანტარში. შეხვედრა გაიმართა დარგობრივი საბჭოს, ცენტრისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, რომლის მიზანი იყო მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (60 კრედიტიანი) უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის პროექტის შემუშავება.

### სხვა მნიშვნელოვანი საქმიანობები

საანგარიშო პერიოდში გადამუშავდა არსებული კონცეფცია ეროვნული კვალიფიკაციების ელექტრონული რეესტრის შემუშავებისთვის და შემუშავდა შესაბამისი ტექნიკური დავალება. სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადდა რეესტრის დავალებები. კვალიფიკაციების ელექტრონული რეესტრის შექმნის მიზნით, ევროკავშირის პროექტის „ტექნიკური მხარდაჭერა საქართველოში შრომის ბაზრის შესაბამისი უნარების განვითარებისთვის“ ექსპერტების მხარდაჭერით შემუშავდა ეროვნული კვალიფიკაციების ელექტრონული რეესტრის კონცეფცია. პორტალის შემუშავებაში ჩართულია სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა.

## თავი IV. სერვისების განვითარება

### საგანმანათლებლო სერვისების განვითარება

საანგარიშო პერიოდში საგანმანათლებლო სერვისების განვითარების მიმართულებით გაანალიზდა არაერთი საერთაშორისო პრაქტიკა და შემუშავდა ინსტრუქციები, მათ შორის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული ზოგადი განათლების აღიარების სახელმძღვანელო, საგანმანათლებლო სერვისების განვითარების სამსახურის მოქმედი და მომავალი თანამშრომლებისათვის Eflow-ს მოხმარების ვიდეო გაკვეთილები და PDF სახელმძღვანელო, საგანმანათლებლო სერვისების შესახებ სახელმძღვანელო ინსტრუქცია, სერვისი გაცემაში ჩართული ცენტრის სხვადასხვა სამსახურების თანამშრომლებისათვის (ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახური; საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამმართველო).

ჩატარდა ანალიზი საერთაშორისო პრაქტიკების ავტომატური აღიარების პრინციპების შესახებ. ავტომატური აღიარება არის შესაბამისი ხარისხის გარანტირებული აღიარება სისტემურ დონეზე (იგულისხმება, ბაკალავრი = ბაკალავრი და მაგისტრი = მაგისტრი), ცალკე აღიარების პროცედურის გავლის გარეშე. უცხოური დიპლომი აღიარებულია იმავე დონეზე და ანიჭებს იმავე აკადემიურ უფლებებს სხვა, ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის (EHEA) ქვეყანაში, როგორც აქვს დოკუმენტის გამცემ ქვეყანაში. ავტომატური აღიარება (წვდომა) არ გულისხმობს ავტომატურ მიღებას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. კვალიფიკაცია და სწავლის შედეგები ჯერ კიდევ ექვემდებარება შედეგების შეფასებას პროგრამის დონეზე, რათა დადგინდეს, აკმაყოფილებს თუ არა კვალიფიკაცია კონკრეტულ სასწავლო პროგრამაში მიღების სპეციფიკურ მოთხოვნებსა და კრიტერიუმებს. ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის (EHEA) ქვეყნების უმეტესობაში სტუდენტის მიღება, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პრეროგატივაა. ევროპის რეგიონში, უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული კვალიფიკაციების ცნობის კონვენციის-ლისაბონის აღიარების კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების იმპლემენტაციის ფარგლებში, 2012 წელს მიღებული ბუქარესტის კომუნიკეთი, ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის (EHEA) მონაწილე ქვეყნებმა პირველად აიღეს ვალდებულება, შესაბამისი აკადემიური ხარისხების ავტომატური აღიარების გრძელვადიანი მიზნისკენ. ცენტრმა ანალიზის დოკუმენტში მიმოიხილა "Enic-Naric"-ის 5 წევრი ქვეყნის გამოცდილება, ავტომატური აღიარების შესახებ. ანალიზის დოკუმენტში მიმოიხილულია ავტომატური აღიარების თაობაზე შექმნილი რეგიონული და მთავრობათაშორისი ხელშეკრულებები: ბალტიკის (Baltic) (ლიეტუვას რესპუბლიკა, ლატვიის რესპუბლიკა, ესტონეთის რესპუბლიკა); ბალტიკ-ბენელუქსის (Baltic-Benelux) (ბელგიის ფლამანდური თემი, ბელგიის ფრანგული თემი, ბელგიის გერმანულენოვანი თემი, ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგო, ნიდერლანდების სამეფო) სკანდინავიის რეგიონის (Nordic) (დანის სამეფო, ფინეთის რესპუბლიკა, ისლანდია, ნორვეგიის სამეფო, შვედეთის სამეფო, ფარერის კუნძულები, გრენლანდია, ალანდის კუნძულები). ავტომატური აღიარების არსებული პრაქტიკის ანალიზმა აჩვენა, რომ საქართველოს უმაღლესი განათლების რეფორმების განხორციელება, ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის კონტექსტში შემუშავებული ინსტრუმენტების სრულ დანერგვა, როგორცაა ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და გაიდლაინები, კრედიტების ტრანსფერის და დაგროვების ევროპული სისტემა, უმაღლესი განათლების ევროპული კვალიფიკაციის ჩარჩო და სამციკლიანი სისტემა, ხელს შეუწყობს ავტომატური აღიარების მექანიზმების დანერგვას. აგრეთვე,



ხელს შეუწყობს ევროპაში მობილობისა და უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებულ თანამშრომლობას, გაამარტივებს სწავლების ხელმისაწვდომობას და რაც ყველაზე მთავარია ხელს შეუწყობს საქართველოს საგანმანათლებლო სისტემას, რათა შესაბამისობაში იყოს ლისაბონის აღიარების კონვენციის (LRC) ვალდებულებებთან. სამომავლო პერსპექტივაში, აღნიშნული მექანიზმების დანერგვა დაეხმარება საქართველოს, გახდეს ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი, ხოლო განათლება ხარისხიანი და სანდო.

ჩატარდა საერთაშორისო პრაქტიკების ანალიზი თემაზე - "აღიარების პროცედურის მსგავსება და განსხვავება სწავლის გაგრძელების, ან დასაქმების მიზნებისათვის (რეგულირებადი პროფესიები)". შემუშავებულ იქნა დოკუმენტი, რომელშიც მომოხილულია შემდეგი ქვეყნების პრაქტიკა და გამოცდილება, "აღიარების პროცედურის მსგავსება და განსხვავება სწავლის გაგრძელების, ან დასაქმების მიზნებისათვის (რეგულირებადი პროფესიები) კონტექსტში: ნორვეგიის სამეფო; ესტონეთის რესპუბლიკა; ფინეთის რესპუბლიკა; იტალიის რესპუბლიკა; გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა; ნიდერლანდების სამეფო; ბუგარეთის რესპუბლიკა; ლიეტუვის რესპუბლიკა; დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო. ავტომატური აღიარების არსებული პრაქტიკის ანალიზმა აჩვენა, რომ საქართველოს უმაღლესი განათლების რეფორმების განხორციელება, ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის კონტექსტში შემუშავებული ინსტრუმენტების სრულ დანერგვა, როგორცაა ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და გაიდლაინები, კრედიტების ტრანსფერის და დაგროვების ევროპული სისტემა, უმაღლესი განათლების ევროპული კვალიფიკაციის ჩარჩო და სამციკლიანი სისტემა, ხელს შეუწყობს ავტომატური აღიარების მექანიზმების დანერგვას. აგრეთვე, ხელს შეუწყობს ევროპაში მობილობისა და უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებულ თანამშრომლობას, გაამარტივებს სწავლების ხელმისაწვდომობას და რაც ყველაზე მთავარია ხელს შეუწყობს საქართველოს საგანმანათლებლო სისტემას, რათა შესაბამისობაში იყოს ლისაბონის აღიარების კონვენციის (LRC) ვალდებულებებთან, რომლის იმპლემენტაციის ვალდებულება საქართველოს აქვს. ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ევროკომისიამ უკვე გასცა რეკომენდაცია საქართველოს ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭებაზე. მომავლის პერსპექტივაში, აღნიშნული მექანიზმების დანერგვა ხელს შეუწყობს საქართველოს, გახდეს ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი, ხოლო განათლება ხარისხიანი და სანდო.

შესწავლილ იქნა საერთაშორისო პრაქტიკა "დისტანციური ფორმით მიღებული უმაღლესი განათლების აღიარებაზე, მათ შორის ხარისხის უზრუნველყოფის კონტექსტში", რომელშიც მიმოხილულია შემდეგი ქვეყნების პრაქტიკა და გამოცდილება, უცხოეთში დისტანციური ფორმით მიღებული უმაღლესი განათლების აღიარებისა და დისტანციური ფორმით უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების კონტექსტში: გაერთიანებული სამეფო, შვედეთის სამეფო, უკრაინა, ესტონეთი, პოლონეთი, მალტა. ამ ეტაპზე საქართველოში, დისტანციური ფორმით მიღებული განათლება არ ექვემდებარება აღიარებას. კერძოდ, ცენტრი უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებისას, ხელმძღვანელობს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და ამ წესის შესაბამისად. საქართველოში უმაღლესი განათლების სფეროში მოქმედ საკანონმდებლო აქტს წარმოადგენს დისტანციური ფორმით მიღებული უმაღლესი განათლების აღიარება და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები საერთაშორისო პრაქტიკა "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი.

## 2023 წელს გაცემული საგანმანათლებლო სერვისების სტატისტიკა



სქემა 1: 2023 წელს გაცემული საგანმანათლებლო სერვისების სტატისტიკა

## პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამა

2023 წელს პირველად განხორციელდა თვითშეფასების ანგარიშის წარმოდგენა პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების ხუთი განმახორციელებელი დაწესებულების მიერ: სსიპ - თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა, სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი, სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა, სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტი, სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემია. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა წარმოდგენილი თვითშეფასებების ანალიზი. შესწავლამ სისტემურ დონეზე გამოკვეთა გამოწვევები, რომელთა საპასუხოდ შემუშავდა განმავითარებელი რეკომენდაციები.

გაიმართა ორი სამუშაო შეხვედრა პროფესიული საჯარო მოხელის, პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს ახალ შემადგენლობასთან. შეხვედრის ფარგლებში განხილულ იქნა მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების, აკრედიტაციის დებულებით განსაზღვრული სტანდარტები და ინდიკატორები, აკრედიტაციის პროცესი და პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს საქმიანობის წესი. ასევე, აკრედიტაციის საბჭოს და ცენტრის თანამშრომლობის კოორდინაციის საკითხები და პროგრამების განხორციელების პროცესის გამოწვევები, მათ შორის: პროფესიული განვითარების პროგრამების ელექტრონული სწავლების მეთოდებით/ფორმებით განხორციელების და მსმენელთა შეფასების პროცესის ობიექტურობისა და რელევანტურობის უზრუნველყოფის საკითხები.

განხორციელდა ორი სააკრედიტაციო წარმოება. სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრმა მიიღო აკრედიტაცია „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამაზე საკლასო მეცადინეობის ფორმით. სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტს მიენიჭა „მოხელის მენეჯერული უნარების“ და „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაცია ელექტრონული კურსის ფორმით.

2023 წელს პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტებულ დაწესებულებებთან განხორციელდა 7 კონსულტაცია დისტანციურ და პირისპირ რეჟიმში.

## თავი V. ინტერნაციონალიზაცია

### ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებთან თანამშრომლობა და ვიზიტები

#### უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაცია - ENQA

2023 წელს ცენტრმა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის - ENQA-ს წევრების ყოველწლიური საერთაშორისო ფორუმს უმასპინძლა. ცენტრი მასპინძლად ENQA-ს მმართველი საბჭოს გადაწყვეტილებით შეირჩა. ფორუმში მონაწილეობა მიიღო ევროპის 32 ქვეყნის წარმომადგენლმა, 55 ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს ხელმძღვანელებმა, სააგენტოების წარმომადგენლებმა, ევროპის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების რეესტრის - EQAR-ის, ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის, ევროპის სტუდენტთა ასოციაციის, ბოლონიის პროცესის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელებმა და მათმა წარმომადგენლებმა. მონაწილეებმა განიხილეს ევროპული სივრცის უმაღლესი განათლების პოლიტიკისთან და უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები და ტენდენციები. ENQA-ს მმართველი საბჭოს გადაწყვეტილება, რომ საქართველოს და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს მასპინძლობა გაეწია ყოველწლიური საერთაშორისო ფორუმისათვის, არის კიდევ ერთხელ იმის დადასტურება, რომ ბოლო პერიოდში უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით განხორციელებული ცვლილებები შესაბამისობაშია ერთიან ევროპულ სტანდარტებთან და მიდგომებთან<sup>4</sup>.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრმა 2023 წელს დაასრულა მუშაობა ENQA-ს წევრის სტატუსის განახლებისთვის.<sup>5</sup> ამ მიზნით, ცენტრმა მოამზადა თვითშეფასების ანგარიში და წარადგინა ENQA-ში. ანგარიშში აისახა 2019 წლის შემდგომი პერიოდის განვითარების მაჩვენებლები და შედეგები. ანგარიშისა და განაცხადის საფუძველზე, 2023 წლის ოქტომბრის თვეში, განხორციელდა ENQA-ს გარე შეფასება, ექსპერტების ადგილზე ვიზიტით. შეფასების შედეგები 2024 წელს გახდება ცნობილი. ექსპერტების მიერ გამოთქმული პირველადი მოსაზრებების საფუძველზე, ცენტრს აქვს დადებითი საბოლოო შეფასების მოლოდინი. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ცენტრის წევრობა ENQA-ში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა, რაც უზრუნველყოფს ევროპული ღირებულებების გაზიარების გზით უმაღლესი განათლების ეროვნული სისტემის დაახლოებას და ჰარმონიზაციას ევროპული განათლების სისტემებთან. ეს კი, თავის მხრივ, ხელს უწყობს საქართველოში გაცემული კვალიფიკაციების საზღვარგარეთ აღიარების პროცედურების გამარტივებას.

#### საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება

USAID-საქართველოს წარმომადგენლობის პროექტ - „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLoG)“ დაფინანსებით, ცენტრის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ გერმანიაში, სადაც გაეცნენ ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო FIBAA-ს საქმიანობის სპეციფიკას. მათ გაიზიარეს გამოცდილება ინსტიტუციური შეფასების, პროგრამული შეფასების და სისტემური შეფასების მიმართულებით, დეტალურად იმსჯელეს სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების, მისი გარე და შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების და

<sup>4</sup> <https://www.engq.eu/events/engq-members-forum-2023/>

<sup>5</sup> ცენტრი 2019 წლიდან არის აღნიშნული ორგანიზაციის სრული წევრი.

კურსდამთავრებულების პროფესიაში შესვლის სპეციფიკაზე. აღსანიშნავია სისტემური შეფასების მოდელი, რომლის მიხედვითაც გერმანიის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო ხარისხის უზრუნველყოფის გარე შეფასების ფარგლებში სწავლობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს, რომლის შესაბამისად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება თავად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციას და ამ პროგრამების განხორციელებისას ხარისხის მონიტორინგს. შესაძლოა მოცემული მოდელის განხილვა, როგორც საქართველოში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარების ერთ-ერთი პერსპექტივა.

ცენტრისთვის მნიშვნელოვანია საერთაშორისო პრაქტიკის კვლევა. სწორედ ამ მიზნით, ცენტრმა მოიპოვა ამერიკის კონგრესის დაფინანსება „Open World Leadership Program“ ფარგლებში და ცენტრის თანამშრომლები და საქართველოს სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში. ცენტრი დაინტერესებულია ხარისხის უზრუნველყოფის საერთაშორისო სააგენტოებთან, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედ სააგენტოებთან, თანამშრომლობით. საქართველოს უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციისა და საზღვარგარეთ მიღებული განათლებისა და კვალიფიკაციების აღიარების პროცესების დახვეწისა და ეფექტიანობის გაზრდის მიზნით მნიშვნელოვანია ცენტრის მიერ საერთაშორისო პრაქტიკის კვლევა და წარმატებული მიდგომების საქართველოს უმაღლესი განათლების სივრცეში დანერგვა. ასევე, მნიშვნელოვანია ამერიკულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და ამერიკულ ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებთან თანამშრომლობა, რათა ცენტრის შესაბამისი სამსახურები, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და საგანმანათლებლო სერვისების განვითარების სამსახური, გაეცნოს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს, რაც საბოლოოდ გააიოლებს ამერიკული უნივერსიტეტების მიერ გაცემული ხარისხისა და საერთაშორისო აკრედიტაციის, მათ შორის ამერიკული სააგენტოების მიერ გაცემული პროგრამული აკრედიტაციის აღიარებას. საბოლოოდ, ეს პროცესები ხელს შეუწყობს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობას, პროფესიულ თუ კარიერულ განვითარებას. სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, პროექტის მონაწილეები ეწვივნენ ამერიკის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს: კლარკის უნივერსიტეტი (Clark University); ვუსტერის პოლიტექნიკური ინსტიტუტი (Worcester Polytechnic Institute - WPI); ჰარვარდის უნივერსიტეტი (Harvard University); ნიუ ჰემფშირის უნივერსიტეტი (University of New Hampshire); სამხრეთ მაინის უნივერსიტეტი (University of Southern Maine); ნიუ ინგლენდის უნივერსიტეტი (University of New England). განათლების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების კონტექსტში, პროექტის მონაწილეებმა და მასპინძელი დაწესებულებების წარმომადგენლებმა განიხილეს აშშ-ში მოქმედ უნივერსიტეტებში სწავლება-სწავლის, კვლევისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების წინაპირობები და კვალიფიკაციების აღიარების მნიშვნელოვანი საკითხები.

ცენტრის წარმომდგენელი დაესწრო გერმანიის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო ASIIN-ის მიერ ორგანიზებულ ASIIN Global Conference კონფერენციას, სადაც განხილული იყო ხელოვნური ინტელექტის სასწავლო პროცესში, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში ინტეგრაციის საკითხი. 2024 წლის განმავლობაში იგეგმება სამუშაო შეხვედრის ორგანიზება, რომ მიღებული გამოცდილება გაზიარდეს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. მნიშვნელოვანია, საქართველოს კონტექსტში აკადემია შეთანხმდეს ხელოვნური ინტელექტის სწავლება-სწავლის პროცესში ინტეგრირების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით.

ასევე, ცენტრის წარმომადგენელი დაესწრო აკადემიური თანამშრომლობის ასოციაციის (Academic Cooperation Association - ACA) და ჩეხეთის საერთაშორისო განათლებისა და კვლევის ეროვნული სააგენტოს (Dům zahraniční spolupráce, Czech National Agency for International Education and Research (DZS)) მიერ დაგეგმილ კონფერენციას. ამასთან, განხორციელდა თანამშრომელთა მობილობა ქალაქ ტალინში, ესტონეთში, ბოლონიის ხარისხის უზრუნველყოფის თემატური ჯგუფის (TPG C on QA) პერსონალის მობილობის პროგრამის (IMINQA) ფარგლებში. მობილობის ფარგლებში გაეცნო ესტონეთის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს მუშაობის სპეციფიკას და მოხდა მიღებული გამოცდილების გაზიარება ცენტრის თანამშრომლებს შორის.

ცენტრის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს „ევროპული საინფორმაციო ცენტრებისა და ეროვნული აკადემიური აღიარების საინფორმაციო ქსელის“ - ENIC-NARIC Network წარმომადგენლების ყოველწლიურ, რიგით 30-ე შეხვედრაში, შვედეთის სამეფოში, ქალაქ სტოკჰოლმში. EB/NAB-მა (ENIC Bureau (EB) and NARIC Advisory Board (NAB) 2021-2023 წლების სამუშაო გეგმის შესრულების ანგარიშის ფარგლებში გააზიარა ორი წლის მანძილზე მიღწეული შედეგები. შეხვედრაზე იუნესკოს წარმომადგენელმა ისაუბრა განათლების აღიარების გლობალური კონვენციის მნიშვნელობაზე. კონვენციამ მოიპოვა ძალაში შესასვლელად საჭირო რაოდენობის მხარდაჭერა და შესაბამისად, დაიწყო მისი უფრო აქტიური იმპლემენტაცია. ამჟამად კონვენციაზე მიერთებულია მსოფლიოს 26 ქვეყანა. ქვეყნების ნაწილი კი იმყოფება რატიფიცირების პროცესში. გლობალური კონვენციის ფარგლებში იგეგმება ENIC-NARIC-ის მსგავსი საინფორმაციო ქსელის შექმნა, მონაწილე მხარეებისათვის. ამ ეტაპზე ჯერჯერობით საქართველოს ზემოაღნიშნული კონვენცია რატიფიცირებული არ აქვს. მაგრამ დაწყებულია აქტიური მუშაობა, ამ მიმართულებით. ლისაბონის კონვენციისგან განსხვავებით, 2019 წლის კონვენცია, ფარავს არა მხოლოდ ევროპის რეგიონს, არამედ მთელს მსოფლიოს. შესაბამისად საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ზემოაღნიშნულ კონვენციაზე მიერთება და მონაწილე მხარეებთან აქტიური კომუნიკაციის დამყარება, ვინაიდან, საქართველოში უმაღლესი განათლების მისაღებად, სწორედ არაევროპული სივრციდან მოდიან სტუდენტები და შემდგომ საქართველოში გაცემული დიპლომების აღიარების საკითხიც იმ ქვეყნებში უფრო ხშირად დადგება, ვიდრე ევროპულ სივრცეშია.

გარდა ამისა, ჩატარდა სამუშაო შეხვედრები სხვადასხვა თემებზე. შეხვედრის ფარგლებში მიმოხილულ იქნა ევროსაბჭოსა და ევროკომისიის დასრულებული, მიმდინარე და დაგეგმილი საგრანტო პროექტები ლისაბონის კონვენციის იმპლემენტაციის მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ ცენტრმა 2023 წელს საგრანტო კონკურსის ფარგლებში მოიგო ევროსაბჭოს გრანტი „ლტოლვილების მიერ მიღებული განათლების აღიარების პროცედურის პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობის“ განსახორციელებლად. შეხვედრაზე აღინიშნა პროექტის მნიშვნელობა და მისი ღირებულება ლისაბონის კონვენციის იმპლემენტაციის პროცესში. გარდა ამისა, სესიაზე გაზიარებულ იქნა უახლესი, განვითარებული კარგი პრაქტიკა და ინსტრუმენტები, რომლებიც გამოიყენება ქსელში ავტომატური აღიარების კონტექსტში.

ცენტრის წარმომადგენელმა გაიმარჯვა შვედური ინსტიტუტის (SI) ახალგაზრდა პროფესიონალთა აკადემიის (SAYP) კონკურსში და საშუალება მიეცა მონაწილეობა მიეღო სტოკჰოლმის სოდერტორნის უნივერსიტეტის (Södertörn University) მიერ შედგენილ სასწავლო-ტრენინგ მოდულში, სახელწოდებით - "თანამშრომლობა საზღვრებს მიღმა - ტრანსნაციონალური საჯარო ადმინისტრირება და ორგანიზება" (Cooperation beyond Borders – Transnational Public Administration and Organizing - TPAO). მოდულის ძირითადი ნაწილი უკავშირდებოდა თითოეული მონაწილის ორგანიზაციაში წამოწყებული ტრანსნაციონალური საჯარო ადმინისტრირების კონტექსტში მოაზრებული საერთაშორისო აქტივობის/პროექტის/სერვისის განხილვას. მოდულის თეორიული

მხარე მიეძღვნა საჯარო ადმინისტრირების ოთხ ძირითად საყრდენს - კოლაბორაციული შესაძლებლობების, რესურსებისა და ქსელების, ძალაუფლების გავლენებისა და რეფორმების მიმართულებით.

პროექტ "TPG-LRC Constructing Recognition in the EHEA - TPG-LRC CoRE"-ის ფარგლებში, ცენტრის განაცხადი შერჩეულ იქნა იტალიის რესპუბლიკაში, ქალაქ რომში, "CIMEA"-ში, პერსონალის მობილობით გათვალისწინებულ, სასწავლო აქტივობებში მონაწილეობის მისაღებად. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, გამგზავნი და მასპინძელი ქვეყნების წარმომადგენლებს შორის, მოხდა გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარება, LRC -ის განხორციელებისთვის საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბების საკითხებზე, ლტოლვილთა კვალიფიკაციებსა და მათ აღიარებაზე და ა.შ. სხვადასხვა საკითხის ირგვლივ. გარდა ამისა, "TST2 - ENIC-NARIC-ის მხარდაჭერის" პროექტის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში, სლავურ და არაბულ ენოვან ქვეყნებში გაცემულ დოკუმენტებზე მომუშავე თანამშრომლებისათვის სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობის მიღების მიზნით, შერჩეულ იქნა ცენტრის ორი წარმომადგენელი, სლავურ ენოვან ქვეყნებში გაცემული დოკუმენტების აღიარების პროცესების შესახებ შეხვედრას უმასპინძლა პოლონეთის ENIC-NARIC ცენტრმა ვარშავაში, ხოლო არაბულ ენოვან ქვეყნებში გაცემული დოკუმენტების აღიარების პროცედურების შესახებ შეხვედრას შვედეთის ENIC-NARIC ცენტრმა - სტოკჰოლმში.

ამასთანავე, ცენტრმა მიიღო ევროკომისიის ტექნიკური მხარდაჭერისა და ინფორმაციის გაცვლის ინსტრუმენტის (TAIEX) სრული დაფინანსება სასწავლო ვიზიტისთვის, ესტონეთის რესპუბლიკაში. სასწავლო ვიზიტი გაიმართა ესტონეთის რესპუბლიკაში, ქ. ტალინში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ცენტრისა და სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებმა. ვიზიტის ფარგლებში, განხილულ იქნა სხვადასხვა საკითხები, მათ შორის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შიდა ხარისხის სისტემები, მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, სკოლის ავტონომია, მოსწავლის შეფასების სისტემა, სკოლის კურიკულუმი, სკოლის თვითშეფასება. მოცემული ვიზიტის ფარგლებში დაიგეგმა მომავალი ურთიერთთანამშრომლობის შესაძლებლობები, რომელიც ხელს შეუწყობს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების განათლების ხარისხის ევროპულ სტანდარტებთან და პროცედურებთან კიდევ უფრო დაახლოებას.

ცენტრი მონაწილეობდა სომხეთში, ქალაქ ერევანში, გამართულ საერთაშორისო კონფერენციაში, სახელწოდებით „დაინტერესებული მხარეების საგანმანათლებლო თაღლითობის გამოვლენისა და მასთან ბრძოლისთვის საჭირო კომპეტენციებით აღჭურვა/DETECT“. კონფერენცია წარმოადგენდა ევროსაბჭოს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, სომხეთის ENIC ცენტრის შემაჯამებელ ღონისძიებას.

ცენტრმა მონაწილეობა მიიღო ესპანეთის სამეფოს ქალაქ ბილბაოში გამართულ ინსპექტორიატების მუდმივმოქმედ საერთაშორისო კონფერენციის - SICI-ის (Standing International Conference of Inspectorates) გენერალური ასამბლეაში, სადაც განხილულ იქნა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის განვითარების მიმართულებით სხვადასხვა საკითხები, მათ შორის: ინსპექტირების როლი: განათლების სისტემის გაუმჯობესება კვლევების საშუალებით; კვლევაზე დაფუძნებული გადაწყვეტილება და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის გაუმჯობესება ინგლისის მაგალითზე დაყრდნობით; გენერალურ ასამბლეაზე განისაზღვრა, რომ 2024 წლის SICI-ის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს „ინსპექტირება სწრაფად ცვალებად განათლების სისტემის გარემოში“. აღნიშნულ ორგანიზაციაში ცენტრი 2022 წელს გაწევრიანდა, რომელიც ძირითად ამოცანას წარმოადგენს ზოგადი განათლების მიმართულებით საერთაშორისო გამოცდილებისა და პრაქტიკების გაზიარება.



ცენტრმა მონაწილეობა მიიღო ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ქსელის (CEENQA) გენერალური ასამბლეასა და სემინარზე, ყაზახეთში, ქალაქ ასტანაში. ღონისძიებას მასპინძლობდა ყაზახეთის აკრედიტაციისა და რეიტინგის დამოუკიდებელი სააგენტო (IAAR). სააგენტოებმა მიმოიხილეს მიმდინარე და ახლად განხორციელებული ცვლილებები. ცენტრის წარმომადგენლის მხრიდან წარდგენილ იქნა უმაღლესი განათლების მიმართულებით მიმდინარე სიახლეები: კლასტერულ აკრედიტაციაზე გადასვლის პროცესი, ENQA-ს ღონისძიების მასპინძლობა საქართველოში, საერთაშორისო პროექტებში ჩართულობა. გაიმართა სემინარი თემაზე - „ხალხი და კულტურა ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებში“. პანელური დისკუსიის ფარგლებში CEENQA-ს წევრმა სააგენტოებმა გააზიარეს გამოცდილებები და კარგი პრაქტიკები ადამიანური რესურსების მართვაში, გაციფრულების როლსა და მის გავლენებზე. აღსანიშნავია, რომ ცენტრი 2020 წლიდან CEENQA-ს წევრია. ქსელის მიზანია ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში ხელი შეუწყოს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გაუმჯობესებას.

ცენტრმა მონაწილეობა მიიღო მოლდოვის რესპუბლიკაში, ქალაქ კიშინიოვში, განათლების ევროპული ფონდის (ETF) ორგანიზებით დაგეგმილ პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ფორუმში. ფონდის მიერ ცენტრი მიწვეული იყო მოლდოვის რესპუბლიკის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის გარე შემფასებლად. ცენტრმა მოლდოველ კოლეგებს შესთავაზა ათამდე რეკომენდაცია პროფესიული განათლების ხარისხის განვითარებისათვის. შედგა შეთანხმება სამომავლო თანამშრომლობის ცალკეულ საკითხებზე, როგორცაა გარე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში მტკიცებულებათა გამოყენება, ასევე EQAVET ინდიკატორების ინტეგრირება ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოში.

საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტრომ და ცენტრმა ევროკომისიისგან მიიღო ოფიციალური მიწვევა, რომ შესაბამისი კანდიდატები წარედგინა ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს მრჩეველთა საბჭოში. ევროკომისიის აღნიშნული გადაწყვეტილება განპირობებულია 2022 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებით, რომლითაც ევროკომისიამ აღიარა საქართველოს ევროპული პერსპექტივა ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე. ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს მრჩეველთა საბჭო არის წარმომადგენლობითი ორგანო და მისი მიზანია, უზრუნველყოს ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს პრინციპებისა და რეკომენდაციების დანერგვა და მათი გამჭვირვალობა უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში. მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაში შედიან: ევროკომისიაში და ევროსაბჭოს განათლების სფეროს ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისა და ევროკავშირის სტრატეგიული პარტნიორი სახელმწიფოების წარმომადგენლები. ევროკომისიის მიერ ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს მრჩეველთა საბჭოში საქართველოს გაწევრიანების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება კიდევ ერთი აღიარებაა იმ წარმატებული რეფორმების, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში განხორციელდა საქართველოს უმაღლესი განათლების სფეროს განვითარების, მათ შორის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შემუშავებისა და დანერგვის მიმართულებით.

2023 წლის 19-20 ივნისს გაიმართა ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს მრჩეველთა საბჭოს 62-ე შეხვედრა, რომელიც ჩატარდა ქ. ბრიუსელში, ბელგია. შეხვედრის პირველი საკითხი დაეთმო ახალი წევრების, საქართველოსა და მოდლოვის გაწევრიანების თემას. ცენტრმა ევროპის განათლების ფონდის (ETF) წარმომადგენლისგან მიიღო სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობის მოწვევა. შემდეგი შეხვედრა გაიმართა 28 ივნისს და მისი მიზანი იყო კვალიფიკაციების ელექტრონული რეესტრის შესახებ ფონდის მიმდინარე პროექტის ფარგლებში ცენტრთან თანამშრომლობის შესაძლებლობების შესახებ მსჯელობა.

ცენტრის წარმომადგენლები ესწრებოდნენ თურქეთის რესპუბლიკაში, ქალაქ ანკარაში, ევროპის განათლების ფონდის (European Training Foundation - ETF) ღონისძიებას - “Advancing the systems for Validation of Non formal and Informal Learning”. შეხვედრას 16-მდე ქვეყნის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ღონისძიებაზე განხილულ იქნა არაფორმალური განათლების აღიარების მექანიზმები, არაფორმალური აღიარების უფლების მქონე დაწესებულებები, რომლებსაც წარმომადგენენ დამსაქმებელთა გაერთიანებები.

ცენტმა მონაწილეობა მიიღო უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA) ასამბლეაში ირლანდიაში, ქალაქ დუბლინში. შეხვედრის ძირითადი საკითხები ეხებოდა უმაღლესი განათლების სფეროში კვალიფიკაციების აღიარებას, აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხებზე მუშაობის გაგრძელებას, 2024 წელს ბოლონის მინისტრიალზე ხარისხის უზრუნველყოფის ჭრილში განსახილველ თემებს, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების (ESG-2015) განვითარების შესაძლებლობებს.

2023 წლის 4-5 ივლისს, საფრანგეთში, ქალაქ პარიზში, იუნესკოს ოფისში გაიმართა უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების აღიარების შესახებ 2019 წლის გლობალური კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა სამთავრობათაშორისო კონფერენციის პირველი სესია, რომელსაც ცენტრის წარმომადგენელი ესწრებოდა. სესიაზე განხილულ იქნა უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული კვალიფიკაციების აღიარების შესახებ გლობალური კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა სამთავრობათაშორისო კონფერენციის რეგლამენტის მიღებას; სამდივნოს მიერ ძირითადი პრინციპების პრეზენტაციას; რატიფიკაციის რეგისტრირებული სტატუსის შესახებ მოხსენებას; 2023-2025 წლების სამუშაო პროგრამის პრეზენტაციას; შემდეგი სამთავრობათაშორისო კონფერენციის სესიების თარიღის და ადგილის განსზღვრას; რეგიონული აღიარების კონვენციების შესახებ ანგარიშს. აღსანიშნავია, რომ საქართველო გეგმავს გლობალური კონვენციის რატიფიცირებას და პროცესი უკვე დაწყებულია.

2023 წლის 17 ნოემბერს აზერბაიჯანში, ქალაქ ბაქოში, გაიმართა საერთაშორისო ფორუმი, რომელსაც ესწრებოდა ცენტრის წარმომადგენელი. ფორუმის მიზანი იყო IV და V EQF დონის საგანმანათლებლო დოკუმენტების აღიარების, ონლაინ და დისტანციური განათლების აღიარების საკითხების განხილვა. ფორუმში მონაწილეობდნენ, აზერბაიჯანის, თურქეთის, გაერთიანებული სამეფოს, მალტის, TAICEP-ის და ETF-ის წარმომადგენლები.

USAID ეგიდით, „ვისწავლოთ ერთად (LTA)“ ფარგლებში, ცენტრმა ტაჯიკეთის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დელეგაციას უმასპინძლა. ვიზიტის მიზანი იყო საქართველოს საგანმანათლებლო რეფორმების გამოცდილების გაზიარება, ცენტრის კომპეტენციის ფარგლებში, შემდეგი მიმართულებით: სკოლამდელი და ზოგადი განათლება; უმაღლესი განათლება; ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საკითხები. შეხვედრის ფარგლებში ტაჯიკეთის მხარეს წარედგინა პრეზენტაცია ცენტრის ძირითადი საქმიანობის შესახებ. ტაჯიკეთის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დელეგაციამ დადებითად შეაფასა ცენტრის საქმიანობა და ხაზი გაუსვა განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებზე ცენტრის ხანგრძლივი და მრავალფეროვანი გამოცდილების გაზიარების მნიშვნელოვნებას.

ცენტრმა ესტონეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (ESTDEV) და უმაღლესი და პროფესიული მიმართულებით ესტონეთის რესპუბლიკის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს (HAKA) წარმომადგენლებს უმასპინძლა. მხარეებმა შეხვედრაზე განიხილეს 2023 წელს ესტონეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (ESTDEV) და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს შორის გაფორმებული შეთანხმების შედეგად მიღწეული ძირითადი შედეგები, რომლის მიზანს წარმოადგენდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შიდა ხარისხის

სისტემის განვითარების მხარდაჭერა საქართველოში. ესტონეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლებმა დადებითად შეაფასეს პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები და მიღწეული შედეგები. ამასთან, მხარეებმა შეხვედრაზე ისაუბრეს სამომავლო თანამშრომლობის შესაძლებლობებზე, რომელიც ხელს შეუწყობს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შიდა ხარისხის სისტემის მხარდაჭერას ქვეყანაში.

ცენტრის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს დისტანციურ სამუშაო შეხვედრაში, რომლის მიზანი იყო საქართველოში არსებული კვალიფიკაციების სისტემის განვითარებასთან დაკავშირებული გამოცდილებების გაზიარება სან-მარინოს უმაღლესი განათლების სისტემის წარმომადგენლებისათვის. შეხვედრაში ქართული მხარის ჩართვის ინიციატორი გახლდათ სან-მარინოს ბოლონიის პროცესის სამუშაო ჯგუფი, რომელიც 2021 წელს შეიქმნა. ჯგუფის მიზანია სან-მარინოს მხარდაჭერა ბოლონიის პროცესში გაწევრიანების საკითხში. ცენტრის წარმომადგენლებმა უცხოელ კოლეგებს გაუზიარეს საქართველოს განახლებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროს კლასიფიკატორის დანერგვის მიმართულებით განხორციელებული აქტივობები და ასევე ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოებთან შესაბამისობის დადგენის მიმართულებით დაგეგმილი სამომავლო ნაბიჯები.

### **ბოლონიის პროცესის განხორციელების სამეთვალყურეო საბჭო - BFUG**

საქართველოს განათლებისა, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებითა და Erasmus+ პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით, საქართველომ ბოლონიის პროცესის ეროვნული კვალიფიკაციების თემატური ჯგუფის (TPG A on QF) ღონისძიებებს უმასპინძლა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს განათლებისა, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და უმაღლესი განათლების სისტემის განვითარებაზე პასუხისმგებელმა სხვა სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებმა, უმაღლესი განათლების ექსპერტებმა და ბოლონიის პროცესის მონაწილე 25 ქვეყნის წარმომადგენელმა. ორდღიან შეხვედრაზე მონაწილეებმა იმსჯელეს ბოლონიის პროცესის თვითსერტიფიცირების მექანიზმზე, რომლის პროცესის წარმატებით გავლით ქვეყანა ადასტურებს უმაღლესი განათლების სისტემის ევროპული უმაღლესი განათლების საერთო სივრცესთან თავსებადობას. ასევე, იმსჯელეს ჯგუფის მიერ ჩატარებულ სამუშაოსა და შემდგომ ნაბიჯებზე.

საქართველო, ავსტრიასთან და ლატვიასთან ერთად, ბოლონიის პროცესის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს თემატური სამუშაო ჯგუფის (TPG A on QF) 2021 წლიდან თავმჯდომარეობს. ჯგუფის მიზანია უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის (EHEA) ძირითადი ვალდებულებებისა და რეკომენდაციების ეროვნულ დონეზე იმპლემენტაციის ხელშეწყობა, პოლიტიკის რეკომენდაციების შეთავაზება ბოლონიის პროცესის სამუშაო სტრუქტურებისთვის. აღნიშნულ ჯგუფში საქართველოს ცენტრი წარმოადგენს. ჯგუფის წევრია ბოლონიის პროცესის 28 წევრი ქვეყანა და ევროპული ინსტიტუტები: ევროკომისია, ევროპის საბჭო, ევროპის სტუდენტური გაერთიანება და ევროპის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანება.

ცენტრის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ ავსტრიაში, ქალაქ ვენაში კოლეგებს შორის გამოცდილების გაზიარებისა (PLA) და კვალიფიკაციების ჩარჩოს თემატური ჯგუფის (TPG A on QF) მეხუთე სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად. კოლეგებს შორის გამოცდილების გაზიარების სამუშაო შეხვედრა (PLA) ეხებოდა ბოლონიის პროცესის ერთ-ერთი ძირითადი ვალდებულების, ეროვნულ დონეზე, უმაღლესი განათლების საფეხურზე სწავლის შედეგების იმპლემენტაციას და ძირითადი გამოწვევების გარშემო დისკუსიას. ღონისძიება ჩატარდა ავსტრიის განათლების სამინისტროს ორგანიზებით, პროექტის "კვალიფიკაციების ჩარჩო ნდობის,

გამჭვირვალობისა და მრავალფეროვნებისთვის (QUATRA)“ ფარგლებში. კოლეგებს შორის გამოცდილების გაზიარების სამუშაო შეხვედრა (PLA) ეხებოდა ბოლონის პროცესის ერთ-ერთი ძირითადი ვალდებულის, ეროვნულ დონეზე, უმაღლესი განათლების საფეხურზე სწავლის შედეგების იმპლემენტაციას და ძირითადი გამოწვევების გარშემო დისკუსიას.

ცენტრის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო რუმინეთში, ქალაქ ბუქარესტში, ბოლონის იმპლემენტაციის სამუშაო ჯგუფის შეხვედრაში. PLA-შეხვედრა ორგანიზებული იყო ამავე ჯგუფის სამდივნოსა და EURASHE-ს მიერ. PLA-შეხვედრა დაეთმო სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების მიდგომების პრაქტიკული იმპლემენტაციის მექანიზმებს სისტემების დონეზე, ევროპული უმაღლესი განათლების სივრცეში. ცენტრი მონაწილეობდა ბოლონის იმპლემენტაციის სწავლა-სწავლების სამუშაო ჯგუფის მუშაობაში, აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების შესახებ რეკომენდაციების დოკუმენტის დრაფტზე. ENQA-ს წევრების ფორუმზე ცენტრმა წარადგინა პრეზენტაცია თემაზე - From Rome Ministerial Communique to real action: contribution of the NCEQE in PROFFORMANCE+ for supporting enhancement of T&L in HE with the focus on sustainability, რომელიც ეხებოდა საქართველოს გამოცდილებას და პროგრესს უმაღლეს განათლებაში მდგრადობის პრინციპების ინტეგრირების მიმართულებით, რომლის მნიშვნელობაც ხაზგასმულია რომის კომუნიკეში.

2023 წლის 27-28 აპრილს, ქალაქ ტირანაში გაიმართა BICG - ბოლონის იმპლემენტაციის კოორდინაციის B - ჯგუფის რიგით მე-5 შეხვედრა (5th TPG B on LRC meeting), რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ცენტრის წარმომადგენელი. შეხვედრაზე განხილული საკითხები იყო: ლისაბონის აღიარების კონვენციის შესრულების მონიტორინგი; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების როლი აღიარების პროცესში; პასუხისმგებლობების განაწილება კომპეტენტურ ორგანოებს შორის, რომლებიც ახორციელებენ აღიარების პროცედურებს.

ასევე, ცენტრმა მონაწილეობა მიიღო ბოლონის იმპლემენტაციის სწავლა-სწავლების სამუშაო ჯგუფის ჯგუფის PLA-შეხვედრაში, რომელიც დაეთმო სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების მიდგომების პრაქტიკული იმპლემენტაციის მექანიზმების განხილვას სისტემების დონეზე, ევროპული უმაღლესი განათლების სივრცეში. შეხვედრის მეორე ნაწილი დაეთმო მცირე ჯგუფებში მუშაობას და დისკუსიას ტირანას მინისტერიალის კომუნიკეში სტუდენტზე-ორიენტირებული სწავლების შესახებ ჩანაწერის პროექტის მომზადების თაობაზე, რაც საფუძვლად უნდა დაედოს ტირანას კომუნიკეს.

ცენტრმა ასევე კოორდინირება გაუწია სამუშაო ჯგუფის მუშაობას ტირანას მინისტერიალის კომუნიკესათვის, დიგიტალიზაციისა და ხელოვნური ინტელექტის განვითარებიდან გამომდინარე გასათვალისწინებელი ეთიკის საკითხების თაობაზე.

### **გაფორმებული მემორანდუმები**

საანგარიშო პერიოდში, ENQA-ს წევრების ფორუმის ფარგლებში ცენტრმა, გერმანიის საერთაშორისო ბიზნეს ადმინისტრირების აკრედიტაციის ფონდთან (FIBBA), სომხეთის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნულ ცენტრთან (ANQA) და მოლდოვის განათლებისა და კვლევის ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნულ სააგენტოსთან (ANACEC) ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გააფორმა. მხარეები ითანამშრომლებენ უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით, რომელიც მოიცავს სხვადასხვა სახის სამუშაო შეხვედრების, ტრენინგებისა და კონფერენციების ჩატარებას, ასევე თანამშრომლები, ავტორიზაციის და აკრედიტაციის ექსპერტების გაცვლით პროგრამებში მონაწილეობას.

ცენტრმა გააფორმა თანამშრომლობის მემორანდუმი ლატვიის აკადემიურ საინფორმაციო ცენტრთან (AIC). მემორანდუმის ფარგლებში გათვალისწინებულია თანამშრომლობა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს განვითარების მიმართულებით ერთობლივი ღონისძიებების ჩატარება. ასევე, თანამშრომლობა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების, დიპლომებისა და კვალიფიკაციების აღიარების მიმართულებით.

### წევრობა საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ქსელებში

2023 წელს ცენტრი გახდა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების საერთაშორისო ქსელის - INQAAHE-ს სრული წევრი. INQAAHE წარმოადგენს უმაღლესი განათლების შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის გაუმჯობესების გლობალურ პლატფორმას, რომელიც საერთო მიზნის გარშემო გაერთიანებული, რომ საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერით განავითაროს და ხელი შეუწყოს უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესებას. დღეისათვის მსოფლიო მასშტაბით ხარისხის უზრუნველყოფის 300-ზე მეტ სააგენტოსა და განათლების ხარისხის მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციას აერთიანებს. INQAAHE ორიენტირებულია უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით თეორიისა და პრაქტიკის განვითარებაზე, ხარისხის გაუმჯობესებაზე, უმაღლესი განათლების მიმართულებით თემატური კვლევების განხორციელებაზე, ექსპერტული ცოდნის გაზიარებაზე და კვალიფიკაციის საერთაშორისო აღიარებისთვის სააგენტოების ინფორმირებულობაზე. INQAAHE-ს წევრობა უზრუნველყოფს საერთაშორისო დონეზე ცენტრის ცნობადის გაზრდას და საერთაშორისო კონტაქტების დამყარებას, უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარებისა და ხელშეწყობის მიმართულებით. ქსელში გაწევრიანებით ცენტრს შესაძლებლობა მიეცა ითანამშრომლოს ხარისხის უზრუნველყოფის 300-ზე მეტ სააგენტოსთან, რომლებიც უმაღლეს განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით მსოფლიოს მასშტაბით მუშაობენ. ასევე, ცენტრს საშუალება მიეცა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ჭრილში გაიზიაროს საუკეთესო პრაქტიკები და გამოცდილებები სხვადასხვა მიმართულებებით, მონაწილეობა მიიღოს კონფერენციებში, სამუშაო შეხვედრებში და ქვეყნის უმაღლესი განათლების სისტემა საერთაშორისო პლატფორმებზე წარმოადგინოს.

საქართველო გახდა 22-ე პარტნიორი ქვეყანა, რომელიც შეუერთდა ლტოლვილთა ევროპული კვალიფიკაციების პასპორტს. EQPR არის პრაქტიკული ინსტრუმენტი, რომელიც ხელს უწყობს ლტოლვილების სწრაფ ინტეგრაციას ახალ საზოგადოებაში. EQPR ლტოლვილთა ევროპული კვალიფიკაციების პასპორტი შემუშავდა 2017 წელს და მისი მიზანია წევრ ქვეყნების დაეხმაროს ლტოლვილთა კრიზისის გამოწვევების დაძლევაში. ასევე, აღნიშნული მექანიზმი ეხმარება ლტოლვილებს საკუთარი ცხოვრების მოწყობაში მასპინძელ ქვეყნებში. კერძოდ, იგი ლტოლვილებს უფასებს კვალიფიკაციას, არასაკმარისი, ან ნაკლები დოკუმენტაციის არსებობის შემთხვევაში. დოკუმენტი არ წარმოადგენს ოფიციალური აღიარების აქტს, ის წარმოადგენს განმცხადებლის განათლების დონის, სამუშაო გამოცდილების და ენის ცოდნის შესახებ ხელმისაწვდომ ინფორმაციას. ფასდება ლტოლვილის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია და ტარდება სტრუქტურირებული ინტერვიუ. შესაბამისად, დოკუმენტში თავს იყრის სანდო ინფორმაცია, რომელიც შეიძლება იყოს რელევანტური დასაქმების, სტაჟირების, საკვალიფიკაციო კურსების და სწავლაზე დაშვების განაცხადებთან დაკავშირებით. EQPR მხარს უჭერს ევროპის საბჭოს/იუნესკოს ლისაბონის აღიარების კონვენციის VII მუხლის განხორციელებას, რაც ხელს უწყობს ლტოლვილთა კვალიფიკაციის აღიარებას სრული დოკუმენტაციის არარსებობის შემთხვევაშიც კი.

2023 წელს ცენტრი პროფესიული მომზადების ინსტიტუტების ევროპული ასოციაციის - EVBB წევრი გახდა. EVBB პროფესიული მომზადების ინსტიტუტების ევროპული ასოციაციის მიზანია პროფესიული განათლებისა და სწავლების ხარისხობრივი გაუმჯობესება ევროპის ქვეყნებში და ევროპულ დონეზე. ორგანიზაციის წევრობა, ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯია პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაციის კუთხით, იგი ხელს უწყობს მის წევრებს შორის თანამშრომლობას და პროფესიული განათლების ორგანიზებას წევრ ქვეყნებში და ევროპულ დონეზე. მეორე მხრივ, აღნიშნული პროცესები უზრუნველყოფს ცენტრის ჩართულობას განათლების პოლიტიკის შესახებ საერთაშორისოდ მიმდინარე დისკუსიებში. საერთაშორისო თანამშრომლობის პროცესები ხელს უწყობს სამომავლო თანამშრომლობის ინიციატივების განხილვას, საქმიანობისთვის აქტუალურ საკითხებზე მსჯელობას, ინფორმირებულობის გაზრდას, ექსპერტული მხარდაჭერის მიღებას და კარგი პრაქტიკების ურთიერთგაცვლას.

2023 წელს ცენტრი გახდა გლობალური აკადემიური კეთილსინდისიერების ქსელის - Global Academic Integrity Network – GAIN წევრი, რომელიც წარმოადგენს განათლების ხარისხის განვითარების სააგენტოებისა და უმაღლესი განათლების სფეროში ჩართული უფლებამოსილი ორგანოებისაგან შემდგარ კონსორციუმს, რომელსაც კოორდინირებას უწევს ირლანდიის ხარისხისა და კვალიფიკაციების სააგენტო (QQI) და ავსტრალიის უმაღლესი განათლების ხარისხისა და სტანდარტების სააგენტო (TEQSA). ქსელის მიზანია ერთობლივი მიდგომების გამოყენებით აკადემიური თაღლითობის განმახორციელებელი სერვისების საფრთხეებთან დაკავშირებით სტუდენტების ცნობიერების ამაღლება, ამ ტიპის საფრთხეების აღმოფხვრის მექანიზმების დანერგვა და ეროვნული უმაღლესი განათლების სისტემების მიმართ ნდობის შენარჩუნება საერთაშორისო დონეზე. აკადემიური თაღლითობის სახეობებს წარმოადგენს სხვის მაგივრად ნაშრომის/დავალების შესრულება, სხვისი ნამუშევრის გაყიდვა და შეძენა, ასევე სტუდენტის მიერ სხვისი ნაშრომის გამოყენება შეფასების მისაღებად. კომერციული აკადემიური თაღლითობა მრავალ ქვეყანაში გავრცელებულ პრობლემაა, რაც საფრთხეს უქმნის სტუდენტებს და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობას, რადგან მისი შედეგები პირდაპირ აისახება უმაღლესი განათლების ხარისხსა და მის მიმართ ნდობაზე, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო დონეზე. ქსელის წევრობა ცენტრს საშუალებას მისცემს გაიზიაროს საერთაშორისო გამოცდილება აკადემიური თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით და წვლილი შეიტანოს ცნობიერების ამაღლებაში მისგან გამოწვეული საფრთხეების თაობაზე. ქსელის წევრობა ცენტრს ასევე დაეხმარება განავითაროს საერთაშორისო თანამშრომლობა ამ მიმართულებით და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობით, წვლილი შეიტანოს ეროვნულ დონეზე არსებული მარეგულირებელი ჩარჩოების განვითარებაში, აკადემიური თაღლითობის წამახალისებელი სერვისებისა და პლატფორმებისგან გამოწვეული საფრთხეების შესამცირებლად.

### საერთაშორისო პროექტები

ლისაბონის კონვენციის იმპლემენტაციის ხელშეწყობის და შესაბამისად, ლტოლვილთა განათლების აღიარების მექანიზმის დახვეწის მიზნით, ცენტრმა ევროპის საბჭოს საგრანტო პროგრამის ფარგლებში განახორციელა პროექტი - „ლტოლვილების მიერ მიღებული განათლების აღიარების პროცედურის პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობა“. პროექტისთვის გრანტი ცენტრმა ევროპის საბჭოს მიერ გამოცხადებული მცირე საგრანტო კონკურსის ფარგლებში მოიპოვა. საგრანტო კონკურსი

მიზნად ისახავდა ევროპის საბჭოს განათლების პროგრამაში ჩართული ქვეყნების <sup>6</sup> საინფორმაციო ცენტრების (ENIC Centres) მხარდაჭერას ლისაბონის კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების იმპლემენტირების პროცესში. საქართველოს სახელით საგრანტო კონკურსში მონაწილეობა მიიღო ცენტრმა, წარდგენილმა საგრანტო განაცხადმა ევროსაბჭოს საკონკურსო კომისიისგან სრული დაფინანსება მოიპოვა.

პროექტი შეიქმნა ლტოლვილების, ან/და ლტოლვილის სტატუსის მქონე პირის (საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირის, თავშესაფრის მაძიებლის, ან ლტოლვილის მსგავსი სტატუსის მქონე პირის) მიერ მიღებული განათლების აღიარების პოლიტიკის, მექანიზმებისა და პროცედურების მხარდასაჭერისა და ამ მიმართულებით საქართველოს საკანონმდებლო ჩარჩოს გადახედვის მიზნით. პროექტის მიზანი იყო საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის ხელშეწყობა, განსაკუთრებით კი განათლების აღიარების მიმართულებით, რათა ის შესაბამისობაში იყოს ლისაბონის აღიარების კონვენციის (LRC) ვალდებულებებთან. ასევე, პროექტი მიზნად ისახავდა ცენტრის როგორც ინსტიტუციის მხარდაჭერას აღიარების მექანიზმებისა და პროცედურების ეფექტურად წარმართვისთვის. პროექტის ფარგლებში, ცენტრმა განახორციელა ლტოლვილთა და საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირთა განათლების აღიარების საკითხებზე საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის კვლევა, პროცედურის ჩატარების კუთხით, შეაფასა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მზაობა, რის შედეგადაც შემუშავდება გზამკვლევი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ჩართული მხარეებისათვის ჩატარდება ტრენინგები, მომზადდა საინფორმაციო ბროშურები და შესაბამის მხარეებს გადაეცა პოტენციური განმცხადებლების ინფორმირების მიზნით.

2023 წელს ცენტრმა ესტონეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან (ESTDEV) გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში განახორციელა პროექტი „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემის განვითარება“, რომელიც მიზნად ისახავდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემის განვითარების ხელშეწყობას, მათ შორის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული შიდა ხარისხის მექანიზმების ანალიზი ავტორიზაციის ახალი სტანდარტების მიხედვით, შიდა ხარისხის სისტემის განვითარების მეთოდოლოგიური მასალებისა და გზამკვლევების შემუშავებას და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შესაძლებლობების გაძლიერებას შიდა ხარისხის სისტემის უზრუნველყოფის მიმართულებით. პროექტის ფარგლებში შეირჩა გეორგრაფიული დაფარვის გათვალისწინებით 15 აქტიური ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება. გაანალიზდა მათი სკოლის თვითშეფასების ანგარიშები და გამოიკვეთა ძირითადი გამოწვევები და მიგნებები. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ანალიზი ავტორიზაციის ახალი სტანდარტების შესაბამისად. ოთხი სტანდარტის შესაბამისად იდენტიფიცირდა შემდეგი ძირითადი გამოწვევები. პროექტის ფარგლებში შემუშავდა სარეკომენდაციო ხასიათის მეთოდოლოგიური დოკუმენტების/გზამკვლევები, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შიდა ხარისხის განვითარების მხარდაჭერისთვის. აღნიშნულ სარეკომენდაციო სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებმა შეიმუშავეს შიდა მარეგულირებელი წესი 6 ძირითადი მიმართულებით. პროექტის შემაჯამებელ ეტაპზე ჩატარდა კონფერენცია, რომლის მიზანი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მხარდაჭერა და განვითარება საქართველოში.

<sup>6</sup> ალბანეთი, ანდორა, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, საქართველო, ვატიკანი, ყაზახეთი, მონაკო, მონტენეგრო, მოლდოვის რესპუბლიკა, სან მარინო, უკრაინა, დიდი ბრიტანეთი



UNDP-სა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში მიმდინარე პროგრამის ფარგლებში 2023 წელს დასრულდა მუშაობა პროფესიული პროგრამების შეფასების მეთოდოლოგიაზე, რომელიც ეფუძნება პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულ ჩარჩოს (EQAVET) ინდიკატორებს. მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით შემუშავდა პროგრამის შეფასების დოკუმენტი. შეირჩა აგრარული მიმართულების ხუთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელთა შეფასებაც განხორციელდა EQAVET-ის მე-5 და მე-6 ინდიკატორების შესაბამისად. ამასთან, მომზადდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების გზამკვლევი; პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების 360 გრადუსიანი თვითშეფასების პლატფორმა და კითხვარები. შემუშავდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დირექტორების სტანდარტის პროექტი. პროექტის ვერსიის შემუშავებაში ჩართული იყვნენ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, პროფესიული უნარების სააგენტოსა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები. შემუშავებული სტანდარტი განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს გადაეცა. გაიმართა შეხვედრები პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელ საბჭოსთან და პროფესიული დაწესებულებების დირექტორებთან. სისტემის დანერგვის შედეგად, შესაძლებელი გახდება ქართულ VET სისტემაში გარე და შიდა ხარისხის შეფასების მექანიზმების არსებობა. ხარისხის შეფასების ორივე ტიპი შეუწყობს ხელს პროფესიული განათლების სწავლებისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას და მოსწავლეზე მორგებული სწავლის პროცესის დანერგვას VET კოლეჯებში. ამასთან, პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებები გაზრდის პროფესიული კოლეჯების შესაძლებლობას, მიიღონ მტკიცებულებაზე დამყარებული გადაწყვეტილებები ავტორიზაციის პროცესში, შეისწავლონ ადგილობრივი შრომის ბაზარი პროგრამის შემუშავების პროცესში, რაც ხელს შეუწყობს თანამშრომლობას პროფესიულ კოლეჯებსა და ადგილობრივ კერძო სექტორს შორის. პროექტი ხორციელდება 2023 წლის ივნისიდან 2025 წლის აგვისტოს ჩათვლით.

## ERASMUS + პროგრამები

### SQUARE

დასრულდა „ერასმუს+“ ის პროგრამა SQUARE - "Strengthening the Quality and Relevance of the Third Mission in Georgian Universities", რომელიც ეხებოდა უნივერსიტეტის მესამე მისიის ხარისხისა და შესაბამისობის გაძლიერებას საქართველოს უნივერსიტეტებში. პროგრამაში თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად ჩართულები იყვნენ საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, საერთაშორისო სააკრედიტაციო საბჭო EFMD (ბელგია), რვა ქართული და სამი ევროპული უნივერსიტეტი. პროექტის ფარგლებში ქართულმა უნივერსიტეტებმა, საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით, შექმნეს მეთოდოლოგია და გზამკვლევები მესამე მისიის დაგეგმვის, დანერგვის, განხორციელებისა და შეფასების შესახებ და შეიმუშავეს მესამე მისიის სტრატეგია, ხოლო განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კოორდინირებული თანამშრომლობის შედეგად, განხორციელდა მესამე მისიის აქტივობების შეფასების ინტეგრირება ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებში.

პროგრამის დასრულების ბოლო ფაზაზე განხორციელებული აქტივობების გასაანალიზებლად, 2023 წლის 20-23 ნოემბერს სამუშაო შეხვედრა შედგა პორტუგალიაში, ქალაქ ლისაბონში, ნოვა (NOVA) უნივერსიტეტში, სადაც განხორციელდა პროგრამის სამუშაო პაკეტი 6-ით გათვალისწინებული აქტივობა.

## ETHICS

ცენტრი შეუერთდა Erasmus+-ის შესაძლებლობათა და ინსტიტუციური განვითარების პროგრამას - ETHICS "ETHICS - Responsible Conduct of Research – Research Integrity and Ethics in Georgian Universities / კვლევის კეთილსინდისიერება და ეთიკა ქართულ უნივერსიტეტებში", პროგრამის მიზანია დაიწყოს სისტემური გაუმჯობესების ინტერვენცია უნივერსიტეტებისა და კვლევითი ორგანიზაციების ხარისხის გასაუმჯობესებლად. პროექტის სპეციფიკური მიზნებია მკვლევარების და კვლევის ეთიკის, კვლევის მთლიანობისა და კეთილსინდისიერების უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვა. პროგრამის ფარგლებში, შეიქმნა სამუშაო ჯგუფები, რომელთა საქმიანობა უკავშირდება პოლიტიკის ცვლილებებს (აკრედიტაცია-ავტორიზაციის სტანდარტების განახლება, ექსპერტთა ტრენინგ-მოდულის/MOOC შექმნა და მათი გადამზადება); შეიქმნა ავტორიზაციის სტანდარტების განახლების/მოდერნიზაციის სამუშაო ჯგუფი, რომელშიც ჩართულნი არიან ცენტრისა და განათლების სამინისტროს თანამშრომლები; სამუშაო ჯგუფი მუშაობს ავტორიზაციის სტანდარტების განახლებაზე. პროგრამა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კოორდინირებით ხორციელდება 2023-2027 წლებში და მასში ცენტრთან ერთად ჩართულნი არიან საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი და ადგილობრივი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, ასევე პარტნიორები ევროკავშირიდან, კერძოდ ნიდერლანდებიდან და ჩეხეთის რესპუბლიკიდან.

საანგარიშო პერიოდში ცენტრის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ქ. ქუთაისში. ვიზიტის ფარგლებში მათ შესაძლებლობა ჰქონდათ დასწრებოდნენ მკვლევართა და კვლევითი კეთილსინდისიერების ოფიცერთა ტრენინგს, რომელსაც უძღვებოდნენ ევროპის აკადემიური კეთილსინდისიერების ქსელის (ENAI) წარმომადგენლები ჩეხეთიდან, ბრიტანეთიდან, პორტუგალიიდან და ნიდერლანდებიდან.

პროგრამის გახსნითი ღონისძიება 2023 წლის 2-5 მაისს ჩეხეთის რესპუბლიკაში, ქალაქ პრაღაში, ჩარლზის უნივერსიტეტში გაიმართა, რომელსაც დაესწრნენ ცენტრის წარმომადგენლები, საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს, სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, ასევე ჩეხეთისა და ნიდერლანდების უნივერსიტეტებისა და ხარისხის სააგენტოების წარმომადგენლები. პროგრამის დაგეგმვისა და განხორციელების შესახებ სამუშაო შეხვედრები ოთხდღიან ფორმატში, ყველა პარტნიორის აქტიური თანამონაწილეობით წარმართა.

## DUGEOR

Erasmus + -ის მიერ დაფინანსებული პროგრამის - „საქართველოს უმაღლეს განათლებაში დუალური განათლების განხორციელების შესაძლებლობების გაძლიერება“ (DUGEOR) ფარგლებში ცენტრის წარმომადგენელი იმყოფებოდა ავსტრიის ქალაქ გრაცში სასწავლო ვიზიტში მონაწილეობის მისაღებად. პროგრამის ძირითადი მიზანია უმაღლესი განათლების სისტემის მოდერნიზების მიზნით დუალური განათლების მოდელის (DUGEOR მოდელი) შემუშავებისა და დანერგვის

მხარდაჭერა. პროგრამა დაყოფილია 6 სამუშაო პაკეტად და მე-2 სამუშაო პაკეტი ითვალისწინებს დუალური სწავლების კუთხით საზღვარგარეთის ქვეყნების საუკეთესო გამოცდილების შესწავლას. პროგრამის ფარგლებში ცენტრის ორი წარმომადგენელი სასწავლო ვიზიტი იმყოფებოდა სერბეთის ქალაქ ნოვი სადში. სამუშაო (საორგანიზაციო) შეხვედრა, მიზნად ისახავდა პროგრამის მიღწევების შეჯამებას და სამომავლო აქტივობების დაგეგმვას.

ამასთან, განხორციელდა სასწავლო ვიზიტი გერმანიის ბადენ-ვიურტემბერგის დუალური სწავლების სახელმწიფო უნივერსიტეტში ჰეილბრონსა და შტუტგარტში, რომელსაც გააჩნია მრავალწლიანი წარმატებული გამოცდილება დუალური სწავლების კუთხით და გამოდგება სანიმუშოდ სხვა ქვეყნებისათვის. ვიზიტის მონაწილეებს, მასპინძელი უნივერსიტეტის შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელებმა გააცნეს დუალური სწავლების პროგრამების შინაარსი და სტრუქტურა, სწავლის შედეგები, რომელზეც სტუდენტი გადის. პროგრამის დასრულების შედეგად, გაიმართა დუალური პროგრამის სტუდენტებთან სამუშაო შეხვედრა, სადაც სტუდენტებმა წარმოადგინეს პრეზენტაცია იმ პროგრამების შესახებ, სადაც ისინი სწავლობენ და ისაუბრეს დუალური სწავლების უპირატესობაზე პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებისა და შემდგომი დასაქმების პერსპექტივების კუთხით.

## PROFFORMANCE +

ცენტრმა 2023 წელს განაგრძო ERASMUS + -ის პროგრამაში, PROFFORMANCE+ მონაწილეობა და მისი განხორციელების მხარდაჭერა. ცენტრი ჩართულია პროგრამით გათვალისწინებულ აქტივობებში: კონსორციუმის შეხვედრები, სემინარები სწავლა-სწავლების საუკეთესო პრაქტიკებზე, ღონისძიებები, სამუშაო შეხვედრები (PLA) და სპეციალიზებული სამუშაო ჯგუფები (WG) პროგრამისთვის პრიორიტეტული მიმართულებებით - დიגיტალიზაცია, ინკლუზია, ინტერნაციონალიზაცია და მდგრადი განვითარება; PROFFORMANCE სწავლების შეფასების ინსტრუმენტის განვითარება.

პროგრამის ერთ-ერთი აქტივობის - სემინარების სერია სწავლების მეთოდოლოგიებზე, ფარგლებში ცენტრმა უმასპინძლა სემინარს სტუდენტების სწავლის შეფასების ინოვაციური მეთოდების თაობაზე. ცენტრი, ასევე, დაგეგმილი სემინარების შესახებ აქტიურად ავრცელებს ინფორმაციას დაინტერესებულ მხარეებთან. ასევე, ცენტრმა უმასპინძლა პროგრამის სამუშაო შეხვედრას (PLA). ღონისძიება მიზნად ისახავდა პროექტის პარტნიორებს შორის მსჯელობის წარმართვას იმ ინსტრუმენტების, სწავლა-სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების თაობაზე, რომლებიც PROFFORMANCE+ პროექტის ფარგლებში შემუშავდა ერთობლივი მუშაობის შედეგად. სამუშაო შეხვედრაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, პროექტის 8 სხვადასხვა ევროპული ქვეყნის პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, უმაღლესი განათლების ადგილობრივმა და საერთაშორისო ექსპერტებმა, საქართველოში ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკადემიურმა და ადმინისტრაციულმა პერსონალმა. პროექტის მონაწილეების მიერ შემუშავებული ინსტრუმენტები და მეთოდები მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სასწავლო და სამეცნიერო პროცესებში მათ აქტიურ გამოყენებასა და დანერგვას.



სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

მისამართი: მერაბ ალექსიძის ქუჩა, მეორე შესახვევი N2

ტელეფონი/ფაქსი: +995 32 2 02 21 21

საფოსტო ინდექსი: 0193

ელფოსტა: [info@eqe.ge](mailto:info@eqe.ge)